

საბა

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 12

დეკემბერი
2006

საქართველოს კათოლიკეთა პირველი სინოდი
კარიტაის ახალი პროექტები საქართველოში
მამა ლუიჯი მანტოვანის ლექსიკონი
წიგნი ივლიტის ეკლესიის შესახებ

რედაქციის გვერდი

ახალ მიჯნასთან

2006 წლის 11 ნოემბერს, შაბათს, დასრულდა საქართველოში ლათინური და ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკე ეკლესიის სინოდი; მოსამზადებელი გზა დაახლოებით ერთი წლის წინათ დაიწყო და ახლა დასასრულს მიაღწია. დიდი მადლობა სინოდის ყველა წევრს: მღვდლებს, საერო და სასულიერო პირებს, რომლებმაც სინოდის ორ სექციაში მიიღეს მონაწილეობა; ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო ხშირად იმეორებდა, რომ მათი მეშვეობით ნათლად გამოჩნდა ჩვენი ეკლესიის სახე, ვინაიდან სინოდი ხომ ეკლესიის გამოცდილებაა და ასეც გამოიხატა ლოცვაში, ზიარებაში, მოსმენა-დიალოგში, გამოცდილების გაზიარებაში, მიღებულ გადაწყვეტილებებში; ეს ხომ ამ ეკლესიის ხილული გამოცდილებაა, რომელიც მართალია ბევრჯერ უხილავად რჩება, მაგრამ იგი გაცილებით ფართო, გაცილებით შრომატევადი და რთულია; სინოდის ყველა წევრი, მთელი გულით გამოხატავდა იმ საკრებულოს აზრს, რომელსაც თავად წარმოადგენდა; აქვე მახსენდება პარასკევი, 10 ნოემბერი, როდესაც ვახშმობის შემდეგ ივლიტის წარმომადგენელმა მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ეკლესიაში, რომელიც ამჟამად მართლმადიდებელთა ხელშია, იმ ხელშეკრულების მიუხედავად, რაც ჩვენსა და ახალციხის ეპისკოპოსს შორის დაიდო, მართლმადიდებელი მღვდელი კვლავაც ცდილობდა ნაგებობის სახეცვლილებას, რათა იქ ნელ-ნელა წაეშალა კათოლიკური კვალი, რითაც სოფლის მკვიდრი კათოლიკეების აღშფოთებას იწვევდა; ასევე, როდესაც ჭიათურის წარმომადგენელმა გვაჩვენა ფურცელი ხელმოწერით “*ჭიათურის მართლმადიდებელი მრევლი*”, კათოლიკეების წინააღმდეგ შეთითხნილი სამარცხვინო შინაარსით, სინამდვილეში კი უღირსი მათთვის, ვინც დაწერა, ხელი მოაწერა და გააგრძელა; ვიზიარებ ასევე ასირიულ-ქალდეური სამრევლოს მწყემსის გულისტკივილს იმ ხელმოწერების გამო, რაც “*წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სართველოს. მართლმადიდებელი მრევლის კავშირმა*” შეადგინა თბილისში ასირიულ-ქალდეური კულტურის ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით და კიდევ რამდენი გულისტკივილი მოუტანია თვით სიყვარულსაც ამ ეკლესიის და მისი მორწმუნეებისთვის: კათოლიკე ეკლესიაში დაქორწინებული ახალგაზრდები, რომლებიც შემდგომ მართლმადიდებელ ეკლესიაში ითხოვენ თავიანთი შვილების მონათვლას, იმ გარემოს ზეგავლენით რომელშიც ცხოვრობენ, ან ის ახალგაზრდები და მოწიფულები, რომლებიც კათოლიკე ეკლესიის ცხოვრებაში არ მონაწილეობენ, უმრავლეს შემთხვევაში, თავიანთი

მწირი ქრისტიანული ფორმაციის გამო. და თუ ყველაფერი ეს და სხვა მრავალი ფაქტი ჩვენს გულისტიკვილს იწვევს, მაღლობა არ უნდა დავიშუროთ რწმენის, ქრისტიანული სიყვარულის, მოთმინების, სიმხნევის, ღოცვის გამომხატველი სხვა ნიშნებისადმი, რაც თან სდევს ჩვენი საკრებულოს მრავალი კათოლიკე მორწმუნის ცხოვრებას.

დიდი მაღლობა წმიდა საყდრის დესპანს საქართველოში, რადგანაც მან თავის გამოსვლაში გაახშიანა 1917 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ წმ. კირიონ II-ის შესანიშნავი წერილი, გაგზავნილი პაპ ბენედიქტე XV-ისადმი, რომელსაც გატაცებით ისმენდა მთელი თავყრილობა; დიდი მაღლობა ყველა მოწვეულ სტუმარს, ვისაც 9 და 11 ნომბრის დილის საათებში მოუხმინეთ: მათი ჩართვები ძვირფასი იყო არა მარტო ჩვენი მისამართით გამოთქმული (ზოგ შემთხვევაში ძალზე საინტერესო) მოსაზრებების გამო, არამედ, პირველ რიგში, თავიანთი მოსვლით, ჩვენს შორის ყოფნით; მათ შორის გამოვეყოფდი საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებს, რასაც ყველანი ველოდით ბოლო წუთამდე, მაღლობას მოვახსენებთ პირადად კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს; ცხადია, ეს გადადგმული ნაბიჯი უთუოდ აისახება ჩვენი სინოდის ისტორიაში, რადგანაც ფრიად ნიშანდობლივი ფაქტი გახლდათ იმ კუთხით, რომ დიდი იმედით შევხედოთ აწმყოს და მომავალს, და სრულიად მიუკერძოებლად, ყველა მათგანს, ვინც საქართველოს საპატრიარქოს სახელით პრეტენზიას გამოთქვამს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მიმართ, გავაგებინოთ ის, თუ როგორია სინამდვილეში საპატრიარქოს პოზიცია.

მაღლობას ვუხდით, ასევე, ყველა იმ მოწვეულ პირს, ვინც ვერ შეძლო მოსვლა; რასაკვირველია, ჩვენი მაღლობა უფრო გულითადი იქნებოდა სახელმწიფო და პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთა მიმართ, ისინიც რომ მოსულიყვნენ, თუნდაც იმიტომ, რომ სინოდზე მათი ქვეყნის ის მოქალაქეები იყვნენ შეკრებილნი, ვისაც აღუთქვეს მსახურება და მოსმენა, მათი რელიგიური კუთვნილებისაგან დამოუკიდებლად; ის მოქალაქეები, რომლებმაც ნდობა გამოუცხადეს მათ, როგორც “ვარდების რევოლუციის” დროს, ასევე არჩევნებში. ჩემგან მათ ნამდვილად არ ესწავლებათ, რომ ოფიციალური მოწვევის საპასუხოდ, როდესაც ვინმეს არ შეუძლია ან არ სურს მოწვევის მიღება, აუცილებელია, სულ “უბრალე ეტიკეტის” უესტი მაინც შეასრულოს და წერილობით შეატყობინოს მომწვევს!

16 ნოემბერს ტოლერანტობის დღე აღინიშნა. ამ დღეს მიწვეული ვიყავი პრესკონფერენციაზე, რომელსაც უნდა გაერკვია, რა მოხდა “ვარდების რევოლუციის” შემდგომ რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ, მათ მიმართ გამოჩენილი ტოლერანტობის თვალსაზრისით. ცხადია, ასეთი ნაბიჯები გადაიდგა კიდევ, მაგრამ ჯერ კიდევ რამდენი რამ რჩება გასაკეთებელი! სხვა რომ არაფერი, საჭიროა თუნდაც ვიფიქროთ ეკლესიების და რელიგიების იურიდიულ აღიარებაზე, რათა თავად მოქალაქეთა შორის არ იყოს განსხვავება; ერთმა მონაწილემ ისიც კი აღნიშნა, რომ ამ დღეს ტელე-რადიო ჟურნალისტების მხრიდან სრულიად არ ჩანდა ინტერესი ამ პრობლემების მიმართ, და, მართლაც, სულ რაღაც ათი წუთის შემდეგ მათ სახეზე შეეცვოთ მოუთმენლობა, რასაც მათ მიერ დარბაზის დატოვება მოჰყვა. ასე რომ, თითოეულს თავისი აზრის გამოსატყვა ცარიელი დარბაზის კედლებს შორის მოუწია! თუმცა, ეს მთლად მათი ბრალი როდია, თუკი მათი მხრიდან არ ჩანს არავითარი ინტერესი, ვინც კონსტიტუციაზე დაიფიცა, რომ უზრუნველყოფდა ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას, – მათი მხრიდან, ვინც მოქალაქეებმა აირჩიეს.

ისდა დაგვრჩენია, დაველოდოთ ეპისკოპოსის პუბლიკაციას *სინოდის წიგნს*, სადაც გავეცნობით ჩვენი ეკლესიის საყურადღებოდ მიღებულ გადაწყვეტილებებს და მითითებებს; და ეს მოხდება 16 დეკემბერს, სწორედ იმ დღეს, როდესაც 10

წლის წინათ, პაპმა იოანე პავლე II-მ, კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორად დანიშნა მამა ჯუზეპე პაზოტო; და როგორც ის დღე გახლდათ მნიშვნელოვანი, ასეთივე გახდება ეს დღეც იმ ახალი იმედებით და ახალი მუხტით, რასაც ის მოიტანს. მზად ვიქნებით სინოდის გადაწყვეტილებათა და მითითებათა მისაღებად და ცხოვრებაში მათ დასანერგად, იმ ჩვეულებების დაძლევის გზით, რაც ზოგჯერ თავად სახარებაზე უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენება? ახალი ლიტურგიული წელი, რომელიც 2 დეკემბერს, ადვენტის პირველი კვირის მწუხრზე დადგება, გულისხმიერი მოწოდება იქნება ყოველივე ამის მიმართ.

მთელს ეკლესიასთან ზიარებაში შევწიროთ მადლობა ღმერთს ყოველივე იმისათვის, რაც ამ ათი წლის მანძილზე მიანიჭა ჩვენს ეკლესიას და რასაც ამჟამად ანიჭებს, როგორც ჩვენმა ეპისკოპოსმა აღნიშნა სინოდის გახსნაზე; მადლიერება მსურს გამოვხატო ასევე ჩვენი ეპისკოპოსის მიმართ, რადგან მისი ყოფნა ჩვენს შორის ჩვენდამი ღმრთის შემწეობის მეტყველი ნიშანი გახლდათ; ეს არის სიცოცხლე, რომელიც ამ ეკლესიაში იღვენთება, “რათა ყველანი ერთ იყვნენ”, როგორც თავად აირჩია მან იესოს ვნებამდელი ვედრება თავის საეპისკოპოსო დევიზად.

ამბობენ, კაცი იმედით ცოცხლობსო, იმედი კი ყველას გეჭირდება, მეტადრე იმ ფაქტების წინაშე, რაც ერთი შეხედვით უიმედობას გვისახავენ. ქრისტიანმა კარგად უწყის, იმედი არაა შემარცხვენიელი და ამიტომაც სასოობს, რომ იქნება უკეთესი სამყარო, მოხდება ეკლესიათა შორის ერთობა და ადამიანის სულიერი განახლება.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

ნოემბრის მოვლენათა ქრონიკა

პონტიფიქსის ვიზიტის მოლოდინში

2006 წლის 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე ბენედიქტე XVI სამ დღეს თურქეთში დაპყოფს, სადაც წმ. ანდრია მოციქულის მოხსენიების დღეს მონაწილეობას მიიღებს საღმრთაო ლიტურგიაში, რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომე I-მა უნდა აღასრულოს.

წმიდა მამამ რამდენჯერმე განაცხადა, რომ თავისი პონტიფიკატის უმთავრეს ამოცანად ქრისტიანთა შორის ხილული ერთიანობის აღდგენა მიიჩნია. ამის გამოსატყულება, თუნდაც კათოლიკურ-მართლმადიდებლური დიალოგის განახლება, რომელიც 6 წლის განმავლობაში შეწყვეტილი იყო. ჩვენი ჟურნალის მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამა წლის ოქტომბრის თვეში შედგა შეხვედრის მორიგი რაუნდი, რომელსაც ამჯერად ბელგრადმა უმასპინძლა, ხოლო მომდევნო შეხვედრა იტალიაში გაიმართება მომავალ წელს.

ბართლომე I-მა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ თურქეთისათვის პონტიფიქსის ღირსეული მაპინძლობა ისტორიული შანსია დეკემბრის ევროსამიტის წინ, სადაც კიდევ ერთხელ განიხილება ევროკავშირში თურქეთის შესაძლო გაწევრიანების საკითხი. პატრიარქმა შემოთავაზებდა გამოთქვა თურქეთში რადიკალური ისლამისტებისა და ნაციონალისტურ დაჯგუფებათა გააქტიურების

გამო, რომელნიც ცდილობენ პაპის ვიზიტს ხელი შეუშალონ. ბართლომე I-ის აზრით, ხელისუფლებამ ყველა ღონეს უნდა მიმართოს პონტიფექსის უსაფრთხოებისათვის.

საკმაოდ დაძაბულად ელოდებიან ამ ვიზიტს მოსკოვის საპატრიარქოშიც. საქმე ისაა, რომ კონსტანტინოპოლსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა შესამჩნევლად გაცივდა, რაც ბელგრადის შეხვედრაზეც კარგად გამოჩნდა. ვენის ეპისკოპოსმა ილარიონმა (ალფევეი) პირდაპირ განაცხადა, რომ “კონსტანტინოპოლი სულაც არაა თანამედროვე მართლმადიდებელი ოიკუმენის ლიდერი”. მოსკოვი კარგა ხანია, სრულიად აშკარად ცდილობს, რომ მართლმადიდებლურ სამყაროში ლიდერის პოზიცია დაიმკვიდროს. ამიტომაც, მან არსებითად შეცვალა დამოკიდებულება წმიდა საყდრის მიმართ – თუკი იოანე პავლე II ისე გარდაიცვალა, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი ოცნება – ვიზიტი რუსეთში – განუხორციელებელი დარჩა, ახალი პონტიფექსისადმი მიმართება რუსული ეკლესიის ისტებლიშმენტის მხრიდან საგრძნობლად განსხვავებულია: მოსკოვის უმაღლესმა იერარქებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ მიესალმებიან ბენედიქტე XVI-ის ძალისხმევას ევროპაში ქრისტიანული ღირებულებების აღორძინების მამართულებით. რუსეთის პატრიარქმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ სოლიდარობას უცხადებს კათოლიკე ეკლესიას რადიკალურ სეკულარიზმთან ბრძოლაში. ძნელი არაა იმის დანახვა, რომ რომთან ურთიერთობის დათბობის უკან აღიარებისა და ინიციატივის ხელში ჩაგდების მძაფრი სურვილი იმალება.

ნოემბრის თვის ad limina ვიზიტები

Ad limina ადგილობრივ ეკლესიათა ეპისკოპოსების რომში ვიზიტს ეწოდება. ერთი მხრივ, ეს წმიდა პეტრესა და წმიდა პავლეს საფლავების მონახულებას აღნიშნავს. თუმცა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ კატეგორიის ვიზიტთა მეორე მხარე – ეს, ფაქტობრივად, ადგილობრივ ეკლესიათა მესვეურების ანგარიშია რომის ეპისკოპოსის წინაშე.

ნოემბრის თვეში რამდენიმე ასეთი ვიზიტი გაიმართა, რომელთაგანც გამოყოფის ღირსია წმიდა მამის შეხვედრები გერმანიისა და შვეიცარიის ეპისკოპოსებთან.

ორივე შეხვედრაზე ბენედიქტე XVI-მ ის პრობლემები დაასახელა და გააანალიზა, რომელიც სახარებისეული უწყების უმთავრესი გამოწვევაა ძველ სამყაროში – სეკულარიზაცია, ისლამი, რელიგიის სწავლება სკოლებში. აქედან გამომდინარე, ის შეეხო თეოლოგიური ფაკულტეტებისა და საეროთა როლს თანამედროვე ევროპაში.

“მივანიჭოთ ქრისტეს უმთავრესი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში”, – აღბათ, პონტიფექსის ეს სიტყვები ამ შეხვედრათა მოკლე რეზიუმეა.

ინგლისის კათოლიკე და ანგლიკან ეპისკოპოსთა პირველი შეხვედრა

ამ შეხვედრას, რომელიც 14 ნოემბერს ლიდსში გაიმართა და რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40 ანგლიკანმა და 30 კათოლიკე ეპისკოპოსმა, მართლაც, სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია ისტორიული ვუწოდოთ. ინგლისი, ელისაბედ I-ის მეფობის პერიოდიდან მოყოლებული, კათოლიკე ეკლესიისადმი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტრული რეგიონი იყო. თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში კათოლიკეობა, ფაქტობრივად, კანონგარეშედ ითვლებოდა.

1845 წელს, როცა შესანიშნავი ანგლიკანი მღვდელი ჯონ ჰენრი ნიუმენი კათოლიკე ეკლესიის მოძღვარი გახდა (მას შემდგომში პაპმა ლეონ XIII-მ კარდინალის ხარისხი უბოძა), საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა – აქედან იწყება კათოლიკეობის აღორძინება დიდ ბრიტანეთსა და ინგლისურ კულტურაში. ამის შესახებ “საბას” მკითხველს შარშან სპეციალური მიმოხილვაც კი მივაწოდეთ.

შეხვედრას კათოლიკე ეკლესიის მხრიდან ვესტმინსტერის მთავარეპისკოპოსი კარდინალი კორმაკ მერფი-ო'კონორი, ხოლო ანგლიკანურიდან – კენტერბერის მთავარეპისკოპოსი დოქტორი როუენ უილიამსი ხელმძღვანელობდნენ.

დღეს ორ ეკლესიას შორის სერიოზული და გადაუღახავი წინააღმდეგობები არსებობს, განსაკუთრებით – ეთიკის სფეროში. მაგრამ დიალოგი ამ ფონზეც კი აუცილებელია, – ასე მიიჩნევს ორივე მხარე.

ცვლილებები რომის კურიაში

ნოემბრის დასაწყისში ბენედიქტე XVI-მ სან პაულოს მთავარეპისკოპოსი ბრაზილიელი კლავდიო ჰუმესი სამღვდელოების კონგრეგაციის ხელმძღვანელად დაასახელა, რაც ბრაზილიისა და, საზოგადოდ, ლათინური ამერიკის ეკლესიის როლის აშკარა აღიარებაა.

ამ კონგრეგაციის მოვალეობა სამღვდელთა საქმიანობის კურირებაა მთელ მსოფლიოში. მთავარეპისკოპოსი ჰუმესი კათოლიკე ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტულ იერარქად ითვლება. ბენედიქტე XVI-ის აზრით, მან დიდი როლი შეასრულა ბრაზილიის ეკლესიის განმტკიცებასა და გაძლიერებაში.

იაკობ დუმბაძე

სინოდის მეორე სესიის ქრონიკა

სინოდის მეორე სესია მიმდინარეობდა 2006 წლის 9-11 ნოემბერს. სესია გაიხსნა 9 ნოემბერს წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში. ნიშანდობლივია, რომ სესიის გახსნა დაემთხვა საქართველოში წმიდა მამის, იოანე პავლე II-ის, ვიზიტის შვიდი წლისთავს (შეგახსენებთ, რომ იოანე პავლე II საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა 1999 წლის 8-9 ნოემბერს).

მეორე სესიის გახსნასთან დაკავშირებით, მოწვეულნი იყვნენ სტუმრები საელჩოებიდან, აგრეთვე, სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიებისა და რელიგიების, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სხდომებს ესწრებოდნენ მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, წმიდა საყდრის დესპანი ვატიკანის ელჩი საქართველოში და მონსინიორ როლანდას მაკნისკასი, სადესპანოს მდივანი; სინოდის სტუმრები იყვნენ: ვაზგენ მირზახანიანი, სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსი საქართველოში; მერაბ გაფრინდაშვილი, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის პრეზიდენტი; დოქტორი იოჰანეს ლაუნ ჰარდტი, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი; მოლა ვაგივი, მუსლიმთა სულიერი ხელმძღვანელი თბილისში; ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჯონ ტეფტი; იტალიის რესპუბლიკის ელჩი ფაბრიციო რომანო; საფრანგეთის რესპუბლიკის კონსული ანრი დენი; გიომ სიმენსკი, ადამიანთა განზომილების ოფისის ხელმძღვანელი; დევან აბაშიძე, თეოლოგი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი; ნუგზარ პაპუაშვილი, ფილოლოგი, თეოლოგი; ნოდარ ლადარია, ფილოლოგი, თეოლოგი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის პროფესორი; სოზარ სუბარი,

სახალხო დამცველი; ბექა მინდიაშვილი, ტოლერანტობის ცენტრის მთავარი ექსპერტი.

სესიის გახსნის პირველ დღეს მოსვლა ვერ შეძლეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა, რომლებიც 11 ნოემბერს გვესტუმრნენ: მამა გიორგი ზვიადაძე, თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორი; მამა გიორგი თევდორაშვილი; სერგო ვარდოსანიძე, სასულიერო აკადემიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე და ლელა ჯეჯელავა, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული სხვადასხვა რელიგიების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი.

მოწვეულმა სტუმრებმა თავიანთ გამოსვლებში ღრმა პატივისცემა და თანადგომა გამოხატეს კათოლიკე ეკლესიის მიმართ საქართველოში (სტუმართა გამოსვლების ტექსტს ქვემოთ შემოგთავაზებთ).

წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში სტუმრების მიღების ცერემონიის დასრულების შემდეგ, სინოდის წევრები წეროვანის საეპარქიო სახლში გაემგზავრნენ. სამუშაოს უკეთ ორგანიზებისა და ნაყოფიერად წარმართვისათვის სინოდის წევრები სამ ჯგუფად დაიყვნენ. თითოეულ ჯგუფს უნდა განეხილა, დაემუშავებინა და საჭიროებისამებრ დაემატებინა, შეეცვალა პირველი სესიის დროს მიღებული დეკრეტები და განცხადებები, ასევე, უნდა გაეთვალისწინებინა ის ცვლილებებიც, რომლებიც სინოდის წევრებმა, საკრებულოებში სამწესო საბჭოს წევრებთან ერთობლივი მუშაობით, გააკეთეს. თითოეული ჯგუფი თითო თემაზე მუშაობდა (I თემა: ეკლესიის ერთიანობა, II თემა: ფორმაცია, III თემა: საერთო როლი ეკლესიაში) და არ იცოდა, სხვა ჯგუფი დეკრეტების როგორ რედაქციას შესთავაზებდა სინოდის წევრებს.

ორი დღის თავდაუზოგავი, ერთობლივი და ნაყოფიერი შრომის შედეგად ჯგუფებმა საბოლოო კენჭისყრაზე წარმოადგინეს გადამუშავებული განცხადებები და დეკრეტები.

კენჭისყრამ გაცხოველებული კამათი და სჯა-ბაასი გამოიწვია, სანამ ერთობლივ დასკვნამდე მივიდოდნენ და დეკრეტებს საბოლოო სახეს მისცემდნენ.

ჯგუფებს მუშაობაში ეხმარებოდა და სულიერად ამხნევებდა ერთად აღვლენილი დიდის ქებანი და საღამოს – წმიდა წირვები.

უნდა ითქვას, რომ სინოდის მუშაობა მეტად ნაყოფიერი და წარმატებული გამოდგა. პირველი სესიის დროს გამოიკვეთა ის საჭირობორტო საკითხები, რაც საქართველოში კათოლიკე ეკლესიას აწუხებს და ის გეგმებიც, რაც მან უნდა განახორციელოს შემდგომი მუშაობის პერიოდში. სინოდის წევრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ჩინებულად გაართვეს თავი მათ წინაშე მდგომ პრობლემებს და სასარგებლო დასკვნებიც გააკეთეს.

მეორე სესიის მუშაობის შედეგები კი, ალბათ, სულ მალე განხორციელდება კათოლიკე ეკლესიის შემდგომ საქმიანობაში და საქართველოს კათოლიკეთა ცხოვრებაში.

სინოდის მეორე სესიაც დაიხურა, მაგრამ მუშაობა ჯერ არ დამთავრებულა, წინ კიდევ ბევრი საქმე ელით სინოდის პრეზიდიუმსა და სამდივნოს, პირველ რიგში, კი სინოდის თავმჯდომარეს, ეპიკოპოს ჯუზეპე პაზოტოს, რომელმაც შესაშური ორგანიზება გაუკეთა სინოდის ორივე სესიას, მანვე იზრუნა, რომ ყველაფერი მაღალ დონეზე წარმართულიყო. მომავალშიც მას დიდი სამუშაო ელოდება, შესადგენი და დასამუშავებელია სინოდის წიგნი, რომელიც სინოდის საბოლოო დახურვაზე, 16 დეკემბერს სინოდის ყოველ წევრს გადაეცემა.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ციცინო ხითარიშვილი

ჯონ ტეფტი,
ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი
ელჩი საქართველოში

კმაყოფილი ვარ, რომ დღეს თქვენთან ერთად ვიმყოფები. ყველამ კარგად იცით, რომ ამერიკის პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს ყველა რელიგიის მხარდაჭერა. სხვადასხვა ქვეყანებში გროვდება ინფორმაცია რელიგიური მიმდინარეობების, მათი მდგომარეობის შესახებ და შემდეგ იგზავნება ვაშინგტონში. იქ შეისწავლიან ამ ინფორმაციას, რათა გაიგონ, თუ რომელ ქვეყანაში როგორ ექცევიან ამა თუ იმ რელიგიას.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ ქვეყანის მთავრობას, იმისთვის, რომ მან შეძლოს თავის ქვეყანაში გადაწყვიტოს რელიგიის თავისუფლების პრობლემა.

განსაკუთრებით მახარებს თქვენთან ყოფნა იმიტომ, რომ მე თავად კათოლიკე ვარ.

ჩვენ ყველანაირად მხარს ვუჭერთ კათოლიკე ეკლესიას საქართველოში და ვუსურვებთ მას წარმატებას.

დოქტორი იოჰანეს ლაუნ ჰარდტი,
ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი საქართველოში

დიდად პატივცემულო ეპისკოპოსო, ძვირფასო ძმანო და დანო! მე სწორედ აი, ამ ორი კვირის წინ მაკურთხეს ეპისკოპოსად. ქართულ ენაზე ვიცი მხოლოდ ორი სიტყვა “გმადლობთ” და “დიდი მადლობა”. ამიტომ, ალბათ, გამიგებთ, რომ დღეს აქ არ ვისაუბრებ საქართველოში რელიგიურ უმცირესობებზე. მე მოვედი აქ იმისათვის, რათა ვისწავლო, მოვედი, რათა მოვისმინო, როგორია თქვენი გამოცდილება. ვფიქრობ, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ის, რასაც ვაკეთებთ, ერთად გააკეთოთ. ჩემი წინამორბედისაგან ვიცი, რომ კათოლიკეებთან თანამშრომლობა ყოველთვის კარგად მიდიოდა. მე 27 წელიწადი ეთიოპიაში, აღმოსავლეთ აფრიკაში, ვმუშაობდი და ჩვენ იქ თითქმის მსგავსი სიტუაცია გვქონდა. იქ არის ძველი მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც IV საუკუნეში დაიბადა, მაგრამ, ამასთანავე, იქ არის, ასევე, ძლიერი პროტესტანტური ეკლესია და, რა თქმა უნდა, კათოლიკე ეკლესია. იქაც იყო პრობლემები ეკლესიებს შორის.

ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა ერთმა გამოცდილებამ: ალბათ, გასმენიათ, რომ ეთიოპიაში ძალიან დიდი შიმშილობა იყო. 1974-75 წლებში და შემდეგ უფრო გვიან, 1985-86 წლებში დაახლოებით 10 მილიონამდე ადამიანი აღმოჩნდა შიმშილის სიკვდილის საფრთხის წინაშე... ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა... ადამიანები ორივე მხარეს იტანჯებოდნენ. ჩვენ – სამი დიდი ეკლესია ერთად შევიკრიბეთ, დავივიწყეთ წარსულის წყენანი და დავიწყეთ ერთიანი, საერთო პროგრამა და შევუდექით შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლას. ჩვენი იარაღი იყო ჩვენს მიერ გაკეთებული დროშა. გაერთიანებული ერებისა და წითელი ჯვრის ორგანიზაციებიც შეეცადნენ ამის გაკეთებას, მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ ნება არ დართო. მხოლოდ სამმა დიდმა ეკლესიამ შეძლო მთავრობისგან მიეღო იმის უფლება, რომ ფრონტი გერღვია და მისულიყო ხალხთან.

ვიცი, რომ საქართველოში ბევრი რამ სხვანაირად არის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ უფალს მივაპყროთ მზერა.

ლევან აბაშიძე, თეოლოგი, პროფესორი

მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო და სინოდის წევრებო! ნება მომეცით, გამოვხატო ჩემი სიხარული კათოლიკე ეკლესიის პირველ სინოდთან დაკავშირებით.

მიხარია, როდესაც ვხედავ საქართველოში კათოლიკე ეკლესიის წარმატებებს, გაძლიერებას და მის თანამშრომლობას სხვა აღმსარებლობებთან და რელიგიებთან. ახლო წარსულში არსებობდა ძმური სიყვარული და თანამშრომლობა მართლმადიდებელ ეკლესიასთან და, მჯერა, რომ ის მომავალშიც იქნება.

როდესაც 80-იან წლებში მე მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიური წევრი გავხდი, ურთიერთობა ამ ორ – და-ეკლესიას შორის თბილი და ჯანსაღი იყო, რასაც, სამწუხაროდ, დღეს ვეღარ ვხედავთ.

იმედი მაქვს, რომ ურთიერთობები მართლმადიდებელ და კათოლიკე ეკლესიებს შორის მომავალში აუცილებლად მოგვარდება, რადგანაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში მართლმადიდებელი და კათოლიკე ეკლესიები და-ეკლესიებია.

ნუგზარ პაპუაშვილი, ფილოლოგი, რელიგიათმცოდნე

დიდ მადლობას მოგახსენებთ მოწვევისათვის.

მე ქართული კულტურის ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ადამიანი გახლავართ. ასე თუ ისე, ვიცნობ კათოლიკე ეკლესიის ისტორიას საქართველოში და, რა თქმა უნდა, იმ პრობლემებსაც, რაც დღეს არსებობს. მე სულ მოკლედ მინდა მოგახსენოთ ერთი ჭეშმარიტება: ურთიერთობა მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის ყოველთვის ასეთი არ იყო; იყო წინააღმდეგობა, მაგრამ ამას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და არასოდეს ყოფილა ისეთი მასშტაბური, როგორც დღეს. ეს არ იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგადი ტრადიცია. ის ტენდენციები, რის თაობაზეც დღეს ამდენს ვლაპარაკობთ, გარკვეულწილად წინააღმდეგობაშია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარსულთან და ტრადიციასთან. ძალიან ბევრი ეპიზოდის მოყვანა შეიძლება იმის დასტურად, რომ ანტიკათოლიკური ტენდენციები, რაც ამჟამად სახეზეა, წინააღმდეგობაში მოდის იმ სახელოვან წინაპრებთან, მათ საქმეებთან და სულისკვეთებასთან, რომლებიც ყველა ქართველისათვის ავტორიტეტი და სათაყვანებელი სახელებია. ამას წინათ გამოვეცი, მამა გაბრიელე ბრაგანტინისთან ერთად, წიგნი, რომელიც იწყება ილია ჭავჭავაძის სიტყვებით და მთავრდება კირიონ კათოლიკოსის (წმ. კირიონის) წერილით რომის პაპის მიმართ. ერთიც და მეორეც კათოლიკე ეკლესიას ისე უყურებდა, როგორც ქრისტეს ეკლესიას.

ეს ღონისძიება, რომელიც დღეს ტარდება, საქართველოს ისტორიისათვის უცხო არ არის. ასეთი რამ ადრეც ყოფილა. ამჯერად მე მინდა წარმოგიდგინოთ ერთი დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნებულია ეროვნული დემოკრატიების გახეთში „საქართველო“. ლაპარაკია 1917 წლის ამბებზე ანუ იმ ეპოქაზე, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი რესტავრაციის პროცესი დაიწყო. დოკუმენტი

ძალიან საინტერესოა როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ისე თქვენი სამუშაოდან გამომდინარე. ამ დოკუმენტის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, თუ რა სულიერი განწყობა იყო მაშინ ქართულ საზოგადოებაში, როცა ეს დოკუმენტი შედგა, და როგორი მდგომარეობაა დღეს. ლაპარაკია შემდეგ ფაქტზე: 1917 წელს საქართველოში მოეწყო ქართველ კათოლიკეთა ყრილობა. ეს ყრილობა შედგა 1917 წლის 27 აპრილს თბილისში, ამ ეკლესიის შენობასა და მის გვერდით არსებულ სკოლაში – კათოლიკურ სასწავლებელში. გაზეთში „საქართველო“ (1917, 29. IV. №92) წარმოდგენილია კორესპონდენცია და ვინმე ლ. ჯაფარიძის წერილი. მე ამ პიროვნების შესახებ ცნობები არ მომეპოვება, მაგრამ ჩანს, რომ იგი ერთობ წიგნიერი ადამიანი და პროფესიონალი ჟურნალისტია.

წავიკითხავთ ამონარიდს ამ კორესპონდენციიდან, რომლიც საინტერესოა, როგორც სულისკვეთებისა და განწყობილების თვალსაზრისით, ისე ისტორიისათვის. კორესპონდენციის სათაურია: „ქართველ კათოლიკეთა დელეგატებისა და დროებით აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა კრება“ მასში ვკითხულობთ:

„აპრილის 27 ქართველ კათოლიკეთათვის ისტორიულ დღედ ჩაითვლება. ამ დღეს ქართველ კათოლიკეთა დელეგატებმა დიდი საეკლესიო საკითხი გადაწყვიტეს. ეკლესიის გალაგანში თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულმა დელეგატებმა. სულ მოგროვდა 49 დელეგატი, დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი და დიდძალი ხალხი. საქმე ვედრებით დაიწყო. წირვას დაესწრნენ საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე ყოვლადუსამღვდელოესი ლეონიდე და ეპისკოპოსნი ანტონი და პიროსი და სხვ. სიტყვა წარმოთქვა მღვდელმა მღებრიშვილმა. კრება სკოლის დარბაზში გაიმართა, აირჩიეს კრების პრეზიდიუმი: თავმჯდომარე ანტონაშვილი, ამხანაგად აზარაშვილი, მდივნებად მ. მღებრიშვილი და კ. სააკაძე.

განსახილველი საკითხები: 1) აღდგენა საეპისკოპოსო კათედრისა თბილისში...“

კორესპონდენცია საკმაოდ მოზრდილია და სხვა საკითხებზეცაა საუბარი.

ლ. ჯაფარიძე წერილში „კათოლიკენი“ ამბობს:

„ქართული კულტურის ისტორიის წიგნში ქართველთა იმ ნაწილის, რომელსაც ქართველი კათოლიკენი ეწოდება, უსათუოდ საპატიო და საინტერესო ფურცლები აქვთ მიკუთვნილი. თუ ვინმეს ტანჯვა შეწირულა საქართველოს სამსხვერპლოზედ, იქ მათი მსხვერპლიც საკმაოთ სრული ყოფილა.

... თუ ვინმეს აქვს უფლება საქართველოში თავის თავს ქართველი უწოდოს, ეს უფლება ქართველთ კათოლიკეთ წამებით აქვთ მოპოებული. ვისაც სურს მათს ქართველობაში დარწმუნდეს, მათს ყრილობას უნდა დაესწროს და მათი მოძღვრების სიტყვებს მოუსმინოს“.

მინდა ჩემი ხმა ბატონ ლევან აბაშიძის ხმას შევუერთო და დავძინო, რომ ის ტენდენციები, რაც დღეს არის, დროებითია და ისინი დადებითი მიმართულებით შეიცვლება.

ვაზგენ მირზახანიანი, სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსი საქართველოში

ძალიან დიდ მადლობას მოგახსენებთ მოწვევისთვის, ამით კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს ძმურ კავშირს ორ ეკლესიას შორის. რა თქმა უნდა, ცოტა რთულია, რამე უთხრა ისეთ ეკლესიას, როგორც რომის კათოლიკე ეკლესიაა. მისი ისტორია და საქმიანობა მთელ მსოფლიოში, უკვე მეტყველებს ყველაფერზე. რაც შეეხება კათოლიკე ეკლესიის საქმიანობას საქართველოში და ამიერკავკასიაში, ის აქ ძალიან კარგ და კეთილ საქმეებს აკეთებს (სომხეთშიც

მოღვაწეობს კათოლიკე ეკლესია და ჩვენი მღვდელმსახურების მეშვეობით ჩვენ ვმეგობრობთ და ვუსმენთ ერთმანეთს) და ჩვენ შეგვიძლია თქვენგან ბევრი რამ ვისწავლოთ: ეს არის „კარიტასი“, განათლების სფერო, კამილიელები, საზაფხულო ბანაკები. აქ ბევრი კეთდება არა მხოლოდ კათოლიკეების, არამედ სხვა კონფესიების კეთილდღეობისთვისაც. რამდენი წელია, რაც ჩვენი ბავშვები ბაკურიანში დადიან „საქართველოს კარიტასის“ მეშვეობით.

მე მჯერა, რომ საქართველოს სახელმწიფო ნელ-ნელა რამეს იღონებს და არა მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას ექნება იურიდიული სტატუსი, არამედ სხვა კონფესიებსაც. ჩვენ ძალიან მჭიდროთ ვთანამშრომლობთ ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსთან, თვეში ერთხელ ერთად ვიკრიბებით და ვსაუბრობთ იმ საკითხებზე, რაც ჩვენ დღესდღეობით გვაღელვებს.

ასევე, შემიძლია ვთქვა, რომ ის ურთიერთობა, რომელიც დღეს არის ჩვენ ეკლესიებს შორის, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის დამსახურებაცაა.

ჩვენ ვერანაირ რჩევას ვერ შემოგთავაზებთ, თუ რომელი გზით იაროთ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვილოცოთ და ვისწავლოთ თქვენგან.

უფალმა გააკურთხოთ.

**სოზარ სუბარი,
სახალხო დამცველი**

ღრმად პატივცემულო მეუფე ჯუზეპე პაზოტო,
ბატონო ელჩო, მონსინიორ კლავდიო გუჯეროტი,
შეკრებულ საზოგადოებაზე,

მოგესალმებით ყველას. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ დღეს აქ ვიმყოფები და შესაძლებლობა მეძლევა, რომ მოგესალმობთ და გამოვხატო ჩემი პატივისცემა ყველა აქ დამსწრეთა მიმართ და ჩემი დიდი მოწიწება საქართველოს კათოლიკური თემის მიმართ. როცა დიდ პირვონებებზე ვფიქროთ, პირველ რიგში, მასხენდება რომის პაპი იოანე პავლე II, რომელიც რამდენიმე წლის წინ იყო ჩამოსული საქართველოში და შემიძლია ვთქვა, რომ პირადად ჩემთვის ეს იყო უდიდესი ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ერთი მიზნისკენ იყო მიმართული, რომ დაეახლოებინა ერთმანეთთან სხვადასხვა ხალხი, სხვადასხვა ერები, გამოენახა თანაარსებობის სხვადასხვა გზები და ფორმები, ის ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ეს თანაარსებობა ყოფილიყო, ამ მიზანს ემსახურებოდა... ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავკასიაში, საქართველოში, რადგან ეს რეგიონი მრავალი საუკუნეების განმავლობაში იყო ადგილი, სადაც სხვადასხვა ხალხები, ერები, ცივილიზაციები ეჯახებოდნენ ერთმანეთს, თანაარსებობდნენ, თანაგრძნობდნენ ერთმანეთს... ეს არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რადგან უნდა ვისწავლოთ ეს თანაარსებობის ფორმები. საქართველოს კათოლიკურ თემს მრავალსაუკუნეების ისტორია აქვს და ამ თემმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარებაში. ქართული კულტურა არ არსებობს იმ წვლილის გარეშე, რომელიც იყო შეტანილი მუხიკაში, კულტურაში ისტორიაში. მე არ ჩამოვთვლი დღეს სახელებს, რადგან ეს ყველაფერი თქვენთვის კარგად ცნობილია. მე კიდევ ერთხელ გავიხსენებ იოანე პავლეს სიტყვებს: “რომ ამ ორ ეკლესიას გაცილებით მეტი აქვს საერთო, ვიდრე განსხვავება”. ის გულისხმობდა მართლმადიდებელ და კათოლიკე ეკლესიებს. მე ვიზიარებ მის ამ სიტყვებს. ეს ძალიან კარგად ჩანს საქართველოს ისტორიაში, სადაც ქართველი კათოლიკეების შეტანილი წვლილი თითქმის იგივეა, რაც ქართველი მართლმადიდებლების წვლილი.

რასაკვირველია, ამ ჩვენს ურთიერთობას ჩრდილიც აქვს და მინდა, როგორც საქართველოს მოქალაქემ, როგორც მართლმადიდებელმა, როგორც სახალხო დამცველმა ამ ჩრდილზეც ვილაპარაკო. დარწმუნებული ვარ, იმისთვის, რომ გამოვნახოთ სწორი ფორმები, სამწუხაროდ, იმ მოვლენებზეც უნდა ვილაპარაკო, რომელიც ჩემს ცხოვრებაშიც ყოფილა. ალბათ 16-17 წლის წინ, მაშინ საბჭოთა კავშირი ინგრეოდა, ბათუმში ვესწრებოდი ყოფილი კათოლიკური ტაძრის კურთხევას, რომელიც მაშინ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა, მოხდა ძალიან საზეიმო კურთხევა, ათასობით ადამიანი მოინათლა ეკლესიის ეზოში. ჩემთვის ეს იყო რაღაც დიდი, ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ეს იყო ათეიზმზე გამარჯვების სიმბოლო, ეს იყო საბჭოთა კავშირის ნგრევისა და დამოუკიდებელი საქართველოს აშენების სიმბოლო, ეს იყო სიმბოლო, როდესაც სიბნელე მარცხდება და სინათლე იმარჯვებს. როცა თბილისში ჩამოვედი ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც ახლა ამ დარბაზშია, მითხრა, კარგია, ეს რომ მოხდა, მაგრამ როგორ ხასიათზე დადგებოდი, პირიქით რომ მომხდარიყო და მართლმადიდებელი ეკლესია კათოლიკეებისთვის გადაეცათო. ამ კითხვამ ძალიან დამაფიქრა. ყველაზე დიდი სიხარული მაშინაა, როცა მართალი ხარ, მართლად გრძნობ თავს. სამწუხაროდ, ეს სიმათლე ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში დარღვეულია. მე მიმანია, რომ ჩემი მოღვაწეობის ერთ-ერთი მიზანი სიმათლის აღდგენაა. კარგი იქნებოდა, რომ პრობლემები, რომელიც დღეს არსებობს ივლიტის ეკლესიაში, არსებობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადაიჭრას და აღარ იყოს სამომავლოდ მსგავსი პრობლემები.

თქვენ, ალბათ, ძალიან კარგად გახსოვთ ის დღე, როდესაც საქართველოში პირველად გამოჩნდნენ დედა ტერეზას დები და დაიწყეს თავისი საქველმოქმედო მოღვაწეობა საქართველოში. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „კარიტასს“, რომელმაც საქართველოში ათასობით ადამიანი შიმშილს გადარჩინა, გადაარჩინა ქუჩაში ცხოვრებას, იხსნა ავადმყოფებისგან. მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მეუფე ჯუზეპე პაზოტოს, რომელთანაც ჩვენ ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ.

ჩვენ ვაქვეყნებთ ჟურნალს “სოლიდარობა”, რომელშიც რელიგიებსა და ეთნიკურ უმცირესობებს ვუთმობთ ადგილს. მომავალი ნომერი დაეთმობა სწორედ კათოლიკე ეკლესიას საქართველოში, მის მოღვაწეობას და ისტორიას, მის პრობლემებს. მე ვიცი, რომ ეს არ იქნება საკმარისი, რადგან ამ თემს მოღვაწეობის ძალიან დიდი ისტორია აქვს, მაგრამ ეს ჩვენი მხრიდან გაღებული მცირე წვლილი მაინც იქნება.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ყველანი ერთად შევძლებთ ისეთი საქართველოს და მსოფლიოს აშენებას, სადაც მშვიდობიანი თანაცხოვრება, ურთიერთგაგება და სიყვარული იქნება ცხოვრების ჩვეულებრივი წესი და პრობლემები, რომელიც დღეს არსებობს, შორეულ წარსულში დარჩება.

**ბექა მინდიაშვილი,
ტოლერანტობის ცენტრის მთავარი ექსპერტი**

პირველ რიგში, უდიდესი მადლობა მოწვევისათვის.

მოგესალმებით ყველას, საქართველოს კათოლიკურ თემს, კათოლიკე ეკლესიას. ორიოდე სიტყვით მინდა გამოვხატო სიყვარული და პატივისცემა თითოეულ თქვენგანის მიმართ, პირველ რიგში, როგორც მართლმადიდებელმა და

როგორც ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელმა, ტოლერანტობის ცენტრისა, რომელიც კოორდინირებს უწევს რელიგიათა საბჭოს საქმიანობას საქართველოში. რელიგიათა საბჭოში, მოგესხენებათ, გაერთიანებულია თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება, ყველა ეკლესია, რომელიც მოღვაწეობს საქართველოში და, როგორც ბატონმა სოზარ სუბარმა აღნიშნა, ერთ-ერთი, ყველაზე აქტიური და, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტი პოზიციის მქონე ეკლესია გახლავთ სწორედ კათოლიკე ეკლესია. მახსოვს, ამ ბოლო ხანს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიგრაციასთან დაკავშირებით იყო გამოსვლები, პაპის პოზიციამ მიგრანტების სასარგებლოდ გადაწყვიტა ეს პრობლემა. აქედან გამომდინარე, ვიცი, რომ კათოლიკე ეკლესია საქართველოში სწორედ ეროვნულ პატრიოტულ პოზიციებს უჭერს მხარს და, პირველ რიგში, ეროვნული პოზიცია დაკავშირებულია ადამიანების პრობლემების მოგვარებასთან. მე აღარ შეეუდგები საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიისა და კულტურული წვლილის განხილვას, ეს ყველამ ძალიან კარგად იცის და ბატონმა სოზარმა ამაზე უკვე ისაუბრა, მაგრამ მე მინდა, ორიოდ სიტყვით მაინც ვთქვა ის, რომ საქართველოს მომავალი ზოგადად შეუძლებელია კათოლიკე ეკლესიისა და მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიური დიალოგის გარეშე. მე ვიცი, რომ კათოლიკე ეკლესიის მხრიდან არსებობს მზაობა, რომ ეს დიალოგი გადრმაგდეს და კონკრეტული შედეგები გამოიღოს და, მეორე მხრივ, ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ თითოეულმა ჩვენგანმა, როგორც მართლმადიდებლებმა, ასევე კათოლიკეებმა და მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ, რომ ამ დიალოგმა ნაყოფი გამოიღოს.

ის პრობლემები, რომელიც კათოლიკე ეკლესიას საქართველოში აქვს – კათოლიკე ეკლესიის ისტორიული მემკვიდრეობის დაბრუნება (ეს არის ის ხუთი ეკლესია, რომელიც დღედღობით კათოლიკურ ეკლესიის საკუთრებაში არ არის) – დაკავშირებულია კათოლიკე ეკლესიის სტატუსის რეგისტრაციასთან.

ჩვენ, ჩვენის მხრივ, ყველანაირად ვეხმარებით კათოლიკე ეკლესიას, რომ დაიბრუნოს თავისი მემკვიდრეობა, მიიღოს იურიდიული სტატუსი, ისეთი, როგორიც საკადრისია კათოლიკე ეკლესიისთვის. დიდი მადლობა.

**ნოდარ ლადარია,
თეოლოგი, პროფესორი**

ძვირფასო ეპისკოპოსო,
ბატონო ელჩო,
ძმებო და დებო,

მე კათოლიკე ეკლესიის წინაშე არავითარი კერძო ვალდებულება არ მაკისრია და კათოლიკე ეკლესიის ტრადიცია და მისი სულისკვეთება დიდი ხანია ნაცნობი და ახლობელია ჩემთვის. მე ნებას მივცემ ჩემს თავს ერთი მაგალითით დავიწყო. აი, ახლოვდება შობის დღესასწაული და მაღე იტალიის ოჯახებში და, ალბათ, ევროპის ბევრ ოჯახში თუ დაწესებულებებში დაიდგება ე. წ. პრეზეპე. პირველად ეს ტრადიცია შემოიღო წმინდა ფრანცისკო ასიზელმა, შემდეგ მის განვითარებასთან ერთად ნაწილობრივ დაკარგა თავისი საკულტო მნიშვნელობა და უფრო დაუახლოვდა საერო კულტურას და წარმოადგენს ხიდს, – თუ შეიძლება ასე ითქვას, – რომელიც არ არის საერო საკუთრება, მაგრამ არის ევროპული ქრისტიანული კულტურის ნაწილი. ჩემი აზრით, კათოლიკე ეკლესია საქართველოში დღეს ფლობს განუმეორებელ შანსს აიღოს თავის თავზე სწორედ ამგვარი წვლილის შეტანა ჩვენს ქართულ კულტურაში (მაშინ როცა მართლმადიდებელი ეკლესია უშვებს სამარხვო მოკოლადებსა და მაიონეხებს).

კათოლიკე ეკლესიას აქვს შესანიშნავი შანსი, რომ შექმნას საქართველოში ის ასპარეზი, სადაც იმოღვაწებენ ქართული კულტურის ადამიანები. ამისათვის არა მარტო მე, არამედ ბევრი ადამიანია მზად. ყოველ შემთხვევაში, ჩემი სურვილია, რომ კათოლიკე ეკლესიამ შექმნას ის ხედვა ევროპისა, ევროპული კულტურისა, ცივილიზაციისა, საითკენაც ყოველი ქართველი გაუცნობიერებლად ისწრაფვის. რათა ხალხს შეექმნას წარმოდგენა, რომ კათოლიკეები არიან ის ადამიანები, რომლებიც თუ ადრე წარმატებით ყიდდნენ ინდულგენციებს, დღეს წარმატებით ებრძვიან კონტრაცეპტივებს. დავამთავრებ იმით, რომ განხორციელდეს ის ცნობილი დოკუმენტი “Lumen Gentium” და განხორცილდეს ისე, რომ შეიქმნას “Lumen Gentium Georgianorum”.

გმადლობთ.

მოლა ვაგივი, მუსლიმთა სულიერი ხელმძღვანელი თბილისში

უპირველეს ყოვლისა, მინდა კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლობას, ვატიკანის წარმომადგენელს მოულოცო სინოდი და გადავცე კავკასიის მუსლიმთა და საქართველოში მისი რწმუნებულის, ახუნდ ალი ალიევის მილოცვა ამ სინოდთან დაკავშირებით. ჩვენ, კავკასიის მუსლიმებს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლობასთან და, უშუალოდ, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსთან, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ, საქართველოში არსებული სხვადასხვა დიდი რელიგიების წარმომადგენლები, ერთად ვიბრძვით საქართველოს მომავლის შენებისათვის.

მერაბ გაფრინდაშვილი, საქართველოში ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის პრეზიდენტი

ძვირფასო დებო და ძმებო,
ძვირფასო სასულიერო პირებო,
ძვირფასო ეპისკოპოსო,
მოგესალმებით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით.

ჩემთვის მართლაც დიდი პატივია დღეს თქვენს შორის ყოფნა. მოკითხვას გადმოვცემთ ჩვენი ეპისკოპოსის მალხაზ სონღულაშვილის სახელით, რომელიც, სამწუხაროდ, საქართველოში არ იმყოფება.

კათოლიკე ეკლესიის წვლილი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მართლაც განუზომლად დიდია, რომელიც, სამწუხაროდ, მიჩქმალულია. იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში ეს სათანადოდ დაფასდება. ეპისკოპოსმა ჯუზეპემ მთხოვა, რამე გამეზიარებინა თქვენთვის. მე მინდა წავიკითხო ერთი ადგილი წმინდა წერილიდან, ეფესელთა მე-5 თავი: *“ალივსენით სულით, ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნებით, საგალობლებითა და სულიერი სიმღერებით, მადლობდეთ ყოველთვის ყველაფრისათვის ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით ღმერთსა და მამას”*.

ღმრთის სულით აღვსება ძალზე მნიშვნელოვანია. თქვენ ბრძანდებით სინოდის წევრები. ეკლესიის წინსვლა თქვენზე ბევრად არის დამოკიდებული. ამიტომ, თითოეული თქვენთაგანი უნდა იყოს ღმრთის სულით აღვსილი...

თუ ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ უფალი არის უზენაესი, უფალი წინასწარ ხედავს და უკეთესად ხედავს ყველაფერს, მაშინ ამ შემთხვევაში სრულიად უნდა მივენდოთ უფალს და მას ჩავაბაროთ ყველა ჩვენი პრობლემა და საქმე.

დასასრულს, კიდევ ერთხელ, დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩემი მოპატიუებისათვის და კათოლიკე ეკლესიას ვუსურვებ უფრო დიდ წინსვლას, იმ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის, რომელსაც თქვენ ასე წარმატებით ადასრულებთ, კიდევ უფრო მეტად გაშლას საქართველოს მრავალ კუთხეში, მრავალ ქალაქსა და მრავალ სოფელში, ეს მხოლოდ და მხოლოდ წაადგება ჩვენს ქვეყანას. თქვენ კი გისურვებთ სული წმიდით აღვსებას და იმას, რომ ღმრთის მადლიერნი იყოთ ყოველთვის, გილხინთ თუ გიჭირთ.

უფალმა დაგლოცოთ.

გიომ სიმენსკი **ადამიანური განზომილების ოფისის ხელმძღვანელი**

ძვირფასო მეგობრებო,

მსურს გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრებები ზოგიერთი საინტერესო საკითხის გამო, რომლებიც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს ქართველი საზოგადოებისა და ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიისათვის. ეს არც თუ იოლია, რადგან ამისათვის საჭიროა ქვეყნისა და მასში არსებული ვითარების სათანადო ცოდნა. მე კი მხოლოდ ორიოდ ველო, რაც თქვენს ქვეყანას ვიცნობ. ძალიან დიდ პატივს ვცემ თქვენს კათოლიკე ეკლესიას და, მიმაჩნია, რომ მისი შენარჩუნება და წარმატება ძალზე მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი კავკასიისათვის.

ჩემთვის, როგორც ეუთო-ს მისიის ადამიანური განზომილების პროგრამის ხელმძღვანელისათვის თბილისში, თქვენი ქვეყანა არის განსაკუთრებული მხარე, რომელიც მისწრაფის ადამიანის უფლებათა და დემოკრატიზაციის დასაცავად. რამდენად შეძლებს საქართველო ადამიანის უფლებათა პრინციპების განხორციელებას? ჩვენი პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას ამ მიზნის მიღწევაში. ეს დიდი გამოწვევაა მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში.

როგორც ქრისტიანისთვის, ჩემთვის მნიშვნელოვანია კათოლიკური საკრებულოს ადგილისა და როლის საკითხი თქვენს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, თქვენ რთულ მდგომარეობაში ხართ, უნდა გადალახოთ მრავალი დაბრკოლება, რათა იცხოვროთ და გაძლოთ გარემოში, რომელსაც ასე ცუდად ესმის თქვენი. და ამ კონტექსტში მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი სიმტკიცით. მაგრამ როგორ ხედავთ თქვენს როლს ფართო ქართულ საზოგადოებაში, ან თუნდაც ქართულ მართლმადიდებელ საზოგადოებაში? როგორც მორწმუნეთა საკრებულო, როგორ შეუწყობთ ხელს თქვენი სამშობლოს განვითარებასა და წინსვლას?

როგორც კათოლიკეები, თქვენ მატარებელნი ხართ დიდი სიმდიდრისა, რომელიც დღეს ძალიან სჭირდება საქართველოს. მე ვფიქრობ ეკლესიის სოციალურ სწავლებაზე. კათოლიკე ეკლესიის სოციალური სწავლება განსაკუთრებული ფენომენია, რომელმაც უნდა შეახსენოს საერო და სასულიერო ხელისუფალთ, რომ ადამიანის ღირსება მათი მიზნების შუაგულია. თავის ერთ-ერთ ენციკლიკაში, რომელიც ევანგელიზაციისა და საზოგადოებრივი სამართლის კავშირს ეხება, პაპმა პავლე VI-მ აღნიშნა, რომ ძნელია აუწყო “ახალი მცნება” და ამავე დროს ხელი არ შეუწყო ადამიანის ჭეშმარიტ განვითარებას. ქრისტიანული რწმენა მეტია, ვიდრე რიტუალების მკაცრი დაცვა. მნიშვნელოვანია განუწყვეტლად ვიმეოროთ, რომ ქვეყნის მიზნები მიმართული უნდა იყოს ადამიანის, პატიმრების, უმცირესობათა, სიღატაკის მსხვერპლთა, დევნილთა, გადასახლებულთა, სხვადასხვა აღმსარებლობის მორწმუნეთა ღირსების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველ მუხლში ნათქვამია: "ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით". საგულისხმოა, რამდენად ასახავს დეკლარაციის ეს ფუნდამენტური მუხლი კათოლიკე საზოგადოების აზრს, განვითარებულსა და გავრცელებულს ეკლესიის მიერ, მოყოლებული ლეონ XIII 1891 წლის ენციკლიკიდან მუშათა კლასის უფლებათა და სტატუსის შესახებ. კათოლიკე საზოგადოების ეს აზრი არსებითია საქართველოს დღევანდელი ცხოვრებისთვისაც.

საქართველოს კათოლიკე საკრებულო მატარებელია ამ სოციალური სწავლებისა, რომელიც მიმართულია ცენტრალური ცნებისკენ – ადამიანის ღირსებისკენ, იქნება ეს ადამიანი მართლმადიდებელი, იუდეველი, მუსლიმი თუ ათეისტი... ან გინდაც კათოლიკე! თქვენი მისია არ არის იოლი, მაგრამ, მე ვფიქრობ, თქვენი ხელშეწყობით ამ ღირებულებებმა კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს ქართულ საზოგადოებაში. მართალია, მცირერიცხოვანნი და ცუდად გაგებულნი ხართ. მაგრამ, ყველაფრისდა მიუხედავად, თქვენი თანამოქალაქეებისთვის ამგვარი საზოგადოებრივი ხედვის გაზიარებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ თქვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის ზრუნვაში. როგორ შეიძლება ამის გაკეთება მოკრძალებულად და ეფექტურად? აი, გამოწვევა! აი საკითხი, რომელზეც უნდა იმუშაოთ!

**ფაბრიციო რომანო,
იტალიის ელჩი საქართველოში**

თქვენო აღმატებულებაჲ, წმ. საყდრის დესპანო, კლავდიო გუჯეროტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესო მეუფე ჯუზეპე პაზოტო, ძვირფასო მამებო, მონაზვნებო და სინოდის წევრებო, მოგესალმებით არა როგორც იტალიის ელჩი, არამედ, როგორც საკრებულოს რიგითი მორწმუნე. მადლობელი ვარ, მოწვევისათვის, რაც ჩემთვის ნამდვილად დიდი პატივია. ძნელია ამ ეკლესიის ამბიონიდან გულგრილად ლაპარაკი.

როდესაც ეპისკოპოსმა მთხოვა, ორიოდე სიტყვა მეთქვა თქვენთვის, დავიბენი, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ სათქმელი უკვე მზად მქონდა, გამახსენდა 2004 წლის ნოემბერში იტალიის საელჩოს მიერ თბილისში ჩატარებული სემინარი თემაზე: „თანაცხოვრება, თანაზიარების საქმეში“. ვინც ამ სემინარს ესწრებოდა, მას ემახსოვრება, რომ მის მუშაობაში მონაწილეობდა რელიგიური ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი ექსპერტი მსოფლიოში, ავტორი წიგნისა – „ახალი მსოფლიო ომი“, რომელშიც საუბარია ქრისტიანთა და მუსლიმთა ურთიერთობებზე.

მინდა აღვნიშნო, რომ მთავარი ნაყოფი, რაც ამ სემინარიდან დარჩა, რელიგიათაშორისი ურთიერთობების გამოცდილებაა.

იტალიის რელიგიათაშორისი ისტორიული გამოცდილება ძალიან ჰგავს საქართველოს გამოცდილებას: ორივე ქვეყანას აქვს ერთი ჩამოყალიბებული თვითმყოფადი აღმსარებლობა, ორივე ქვეყანაში არსებობს რელიგიური უმცირესობები და აღმსარებლობები, რომლებსაც ქვეყნის ისტორიულ წარსულში აქვთ ფესვები გადგმული. გვხვდება, ასევე, ახალი და უახლესი აღმსარებლობები და დენომინაციები.

საქართველოს მთავრობამ, ისევე, როგორც ეს იტალიის მთავრობამ თავის დროზე გააკეთა, კითხვა უნდა დაუსვას საკუთარ თავს, როგორი პოზიცია დაიკავოს ამ პრობლემების წინაშე?

რელიგიური მოწყობის ორ პოლუსს – ამერიკულსა და ფრანგულ მოდელს – შორის საქართველოს მთავრობამ შეიძლება არჩევანი გააკეთოს.

ამერიკული მოდელის მიხედვით, ყველა რელიგია, აღმსარებლობა და დენომინაცია თანაბარუფლებიანია სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში და განსხვავებები არ არსებობს. ვინც სწავლობს ამერიკის ფენომონოლოგას, დამეთანხმება, რომ ამერიკის ჯარში კაპელანები არიან პროტესტანტებიც, კათოლიკეებიც, მართლმადიდებლებიც და სხვა უცნაური, არასტანდარტული მიმართულებების მოძღვრებიც.

ფრანგული მოდელი – სახელმწიფოს ერთნაირი დისტანცია უჭირავს ყველა რელიგიასთან და დენომინაციებთან მიმართებაში.

ამ ორ პოლუსს შორის არსებობს შუალედური იტალიური მოდელი – ყველა რელიგიასთან პლურალისტური დამოკიდებულება, რაც შემდეგში გამოიხატება: იტალიის მთავრობამ დაარეგულირა თავისი ურთიერთობა უმრავლესობის კათოლიკე ეკლესიასთან, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისტორიულად იტალიელი ხალხის ტრადიციული აღმსარებლობა კათოლიკობა იყო. სხვა აღმსარებლობებთან და რელიგიებთან კი დაიღო, ან ახლა მიდის ამაზე მუშაობა, სხვადასხვა შეთანხმებები. რა თქმა უნდა, ამ შეთანხმებებს ისეთივე წონა არა აქვთ როგორც კონკორდატს, მაგრამ ეს ხელშეკრულებები სახელმწიფოსთან ურთიერთობებს აწესრიგებენ. იტალიაშიც არსებობს სხვა რელიგიები თუ დენომინაციები, რომელთანაც ჯერ ვერ მოხერხდა შეთანხმებების დადება, მაგრამ მათ მოქმედების ფართო არეალი აქვთ.

საქართველოს მთავრობასაც შეუძლია გაითვალისწინოს იტალიის გამოცდილება და თავის ინდივიდუალური მიდგომიდან გამომდინარე, გადაწყვიტოს ეს საკითხი. იტალიური მოდელის მსგავსად, კათოლიკე ეკლესიამ საქართველოში შეიძლება მოიპოვოს ამგვარი აღიარება. ასევე, კათოლიკე ეკლესიას შეუძლია, ხელი შეუწყოს იტალიური მოდელის განხორციელებას საქართველოში.

მიხარია, რომ თქვენს შორის არის საქართველოს სახალხო დამცველი, ბატონი სოზარ სუბარი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ საქმეში.

ჩემი საქართველოში მოღვაწეობის განმავლობაში მქონია შემთხვევები, როცა ქართველი პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები თუ ინტელიგენცია იტალიას უყურებენ, როგორც სამაგალითო ქვეყანას, იქნებ რელიგიათაშორის საკითხებშიც იტალიამ მაგალითის როლი შეასრულოს? და აგრეთვე, კათოლიკე ეკლესიამ უნდა დაამოწმოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე, რომ არ უნდა ეშინოდეს რელიგიური თავისუფლების, რომ მეტი დომინაციის არსებობა არ იწვევს მის შესუსტებას, რომ მას ბევრი სიკეთის მოტანაც შეუძლია.

**მამა გიორგი ზვიადაძე,
სასულიერო აკადემიის პრორექტორი**

მოგესალმებით საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით. დღეს ჩემთან ერთად იმყოფებიან მამა გიორგი თევდორაშვილი, საქართველოს სამოციქულო ეკლესიიდან, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, სასულიერო აკადემიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე და ქალბატონი ლელა ჯეჯელავა, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული სხვადასხვა რელიგიების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი.

ყველას მოგესხენებათ, რომ საქართველო ტრადიციული მართლმადიდებლური ქვეყანაა, მოსახლეობის უმრავლესობა აღმსარებლობით მართლმადიდებელია, სადაც სინოდალური ცნებები ტრადიციულია. საქართველო

ყოველთვის სისხლით იცავდა მართლმადიდებლობას, მაგრამ ქართველი ხალხი ყოველთვის გამოირჩეოდა როგორც საკუთარი, ისე სხვა ეკლესიების უფლებების დაცვითაც და ყოველთვის შემწყნარებლობას იჩენდა სხვა რელიგიებისა თუ ძირითადი აღმსარებლობების მიმართ.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, კარგადაა ცნობილი, რომ დღეისათვის მართლმადიდებელ და კათოლიკე ეკლესიებს შორის არ არის ექვარისტიული თანაზიარება. ეს არის ორი სხვადასხვა ეკლესია თავისი მრწამსითა და მოძღვრებებით, მაგრამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს კეთილი ნება, ჰქონდეს ურთიერთგაგებაზე და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ნორმალური ურთიერთობა კათოლიკე ეკლესიასთან. საქართველოს საპატრიარქოს მხრიდან ყოველთვის არის მცდელობა, გაუგებრობამ ფეხი არ მოიკიდოს ამ ორი ეკლესიის ურთიერთობაში.

ლელა ჯეჯელავა, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული სხვადასხვა რელიგიების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი

მოგესალმებით, მივესალმები თქვენს მუშაობას. მე წარმოვადგენ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული სხვადასხვა რელიგიების საკოორდინაციო ცენტრს. მინდა გითხრათ, რომ ეს ცენტრი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმიდესობის ილია მეორის ინიციატივით შეიქმნა, რითაც დაადასტურა მზადყოფნა, სურვილი და კეთილი ნება ჰქონდეს მჭიდრო ურთიერთობა სხვა ძირითად რელიგიებთან და აღმსარებლობებთან. ჩვენს ცენტრს შეუძლია შეასრულოს კარგი როლი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

როცა საკოორდინაციო ცენტრმა მუშაობა დაიწყო, პირველი, ვისთანაც შეხვედრა შედგა, იყო კათოლიკე ეკლესია, კერძოდ მამა ჯუზეპე პაზოტო, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. ამით მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაადასტურა თავისი პატივისცემა კათოლიკე ეკლესიის მიმართ.

მიუხედავად კონფესიური განსხვავებისა, ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ცალ-ცალკე ვლოცულობთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთად არ ვაკეთოთ საქმე, ჩვენ ვართ ამ ქვეყნის მოქალაქეები, ერთნაირად გვტკივა და გვიხარია ეს ქვეყანა.

მინდა გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა. ქართველ კათოლიკეებს კი – დიდი წვლილის შეტანა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

ინტერვიუ

სინოდის შემდეგ

გთავაზობთ ინტერვიუს სინოდის წევრთან, ბატონ სერგო ფეიქრიშვილთან ინტერვიუს უძღვებოდნენ **ზაზა შათირიშვილი** და **ციცინო ხითარიშვილი**

ბატონო სერგო, წარუდგინეთ თავი „საბას“ მკითხველს.

დავიბადე 1936 წლის 5 დეკემბერს, სოფელ ახალშენში. დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. ვმუშაობდი საპასუხისმგებლო თანამდებობებზე; ვარ მიხეილ თამარაშვილის

სახელობის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი; წლების განმავლობაში ვიყავი გაზეთ „საქართველოს კათოლიკეს“ რედაქციის წევრი და ერთ-ერთი დამაარსებელი, გაზეთ „საბას“ კომერციული დირექტორი, წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის სამრევლო საბჭოს წევრი და სინოდის წევრი.

როდის დაარსდა მიხეილ თამარაშვილის საერთაშორისო ფონდი და რა იყო მისი დაარსების მიზანი?

საქველმოქმედო და საგანმანათლებლო საზოგადოების შექმნის სურვილი ყოველთვის მქონდა. 1992 წელს კი ეს სურვილი რეალურად განხორციელდა მიხეილ თამარაშვილის სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო საზოგადოების (შემდგომში ფონდის) დაარსებით. მიხეილ თამარაშვილის პიროვნების დახასიათება, ვფიქრობ, საჭირო არ არის, რადგანაც მას კარგად იცნობდნენ და იცნობენ საზღვარგარეთაც და საქართველოშიც. ყველას კარგად მოეხსენება მისი ღვაწლი ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში. საზოგადოების სახელწოდება კი – მისი სახელის უკვდავსაყოფად ჩვენს მიერ გაღებული სულ მცირე წვლილია. მისი ძირითადი მიზანი იყო კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის ერთიანობის მიღწევა და ქრისტესმიერი ძმური სიყვარულის დამყარება. საზოგადოებაში გაერთიანდნენ როგორც კათოლიკეები, ისე მართლმადიდებლები. საქველმოქმედო საქმიანობასთან ერთად, შეძლებისდაგვარად ვეწეოდით კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც.

სოციალურად დაუცველი მოხუცებისა და ავადმყოფებისათვის გამოყოფილი გვექონდა ფულადი ფონდი და ყოველთვის ვეხმარებოდით მათ. დანიის „კარიტასის“ დახმარებით თამარაშვილის საზოგადოებამ თითქმის მთელ საქართველოში გაანაწილა პროდუქტები: მოხუცებილთა, ჩვილ ბავშვთა, უპატრონო ბავშვთა სახლებისათვის; ლტოლვილებისა და აფხაზეთში მებრძოლთათვის. სხვა მრავალი სასიკეთო საქმეებიც გააკეთა ჩვენმა საზოგადოებამ, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შეეუძლება.

მიხეილ თამარაშვილის საზოგადოებას არც თუ მცირე წვლილი მიუძღვის ახალშენში მღვდლების ჩამოყვანის საკითხში. იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოში ფაქტიურად არ ტარდებოდა წმიდა წირვები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, როდესაც თბილისიდან რომელიმე მღვდელი ჩავიდოდა წირვის ჩასატარებლად. საჭირო გახდა დასავლეთ საქართველოში კათოლიკეთა ხელმოწერების შეგროვება, რასაც ჩინებულად გაართვა თავი საზოგადოებამ. კათოლიკეთა მოთხოვნაში მღვდლების ჩამოყვანის გარდა, დღის საკითხში იდგა: ქუთაისში ეკლესიის დაბრუნება და ახალშენში ეკლესიის აშენება. წერილის ქართული და ინგლისური პირები გადავეცით საქართველოში წმიდა საყდრის დესპანს, ყოვლადმაღალუსამღვდელოეს ჟან-პოლ გობელს, რომელმაც სათანადო რეკომენდაციით გააგზავნა ვატიკანში. ახალშენის ეკლესიის აშენება კი – მამა ჯუზეპესა და მამა გაბრიელეს უდიდესი ძალისხმევითა და მონღოებით განხორციელდა.

თამარაშვილის საზოგადოება აქტიურად იყო ჩაბმული წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის დაბრუნების საკითხშიც. ამის შესახებ წერილობით მივმართეთ მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ვახტანგ გოგუაძეს, საზოგადოების გამგეობის წევრები და ბატონი ირააკი მაჭავარიანი არაერთხელ შევხვდით თბილისის მაშინდელ მერებს – ოთარ ლითანიშვილსა და კოტე გაბაშვილს, „საქართველოს კათოლიკეში“ ვაქვეყნებდით პუბლიკაციებს ამ საკითხის გამო.

ჩვენს საზოგადოებას კიდევ მრავალი გეგმები ჰქონდა, მაგრამ ფინანსური სიძნელეების გამო ისინი ვეღარ განხორციელდა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ საზოგადოება უშეგებდა გაზეთ „საქართველოს კათოლიკეს“, ასევე, გამოეცით წიგნებიც. გაზეთის გამოცემის იდეა კათოლიკური ეკლესიიდან მოდიოდა თუ ეს საზოგადოების დაარსებიდანვე იყო მის წესდებაში?

რა თქმა უნდა, საზოგადოების წესდებაში თავიდანვე ჩადებული იყო საინფორმაციო საშუალებების, წიგნების გამოცემა. თავიდანვე ეს იდეა ვერ განხორციელდა სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგრამ ორი წლის შემდეგ, 1994 წელს იდეამ ხორცი შეისხა და საზოგადოების გამგეობის წევრებისა და ქალბატონ მანანა ანდრიაძის მხარდაჭერით, რომელიც შემდეგში „საქართველოს კათოლიკეს“ სამი ნომრის მთავარი რედაქტორი იყო, გამოვიდა პირველი ნომერი. სასიამოვნო ფაქტი იყო ისიც, რომ გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლა დაემთხვა საქართველოში კარდინალ აჩილე სილვესტრინის ჩამობრძანების დღეს – 18 აპრილს. აგრეთვე სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ისიც, რომ ყოველადმადალუსამდგველოესმა კარდინალმა ისურვა საზოგადოების და რედაქციის წევრებთან შეხვედრა და ფინანსური დახმარებაც გაგვიწია. „საქართველოს კათოლიკემ“ 1995 წლის მაისამდე იარსება (გამოვიდა 14 ნომერი) და ფინანსური სიძნელების გამო დაიხურა.

ამის შემდეგ „საქართველოს კათოლიკისა“ და „საბას“ რედაქციები გაერთიანდა, სადაც მე ვიყავი კომერციული დირექტორი.

მიხეილ თამარაშვილის საზოგადოებამ 1995 წელს გამოსცა წიგნი „საქართველო-რომის ურთიერთობა“, რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მურმან პაპაშვილი. წიგნი მიეძღვნა მიხეილ თამარაშვილის ნათელ ხსოვნას და მას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, როგორც კათოლიკე, ისე მართლმადიდებელი. ხოლო 1996 წელს – პროფესორ ქუქუნა ფეიქრიშვილის წიგნი „ქართველოლოგიური კვლევის საკითხები საზღვარგარეთ“.

თქვენი აზრით, ნაყოფიერად ჩატარდა თუ არა სინოდის პირველი სესია და რა პასუხისმგებლობა დაგაკისრათ სინოდის წევრობამ?

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტიცაა სინოდის წევრად არჩევა. თანაც ეს მისია პირადად ეპისკოპოსმა დამაკისრა. პირველ სესიაზე მეტად მნიშვნელოვანი თემები განვიხილეთ, რაც ჩვენი ეკლესიის ცხოვრების რეალურ სურათს ასახავდა. საკრებულოების წარმომადგენლების გამოსვლები აქტუალური და საინტერესო იყო.

სინოდის ერთ-ერთი დადებითი მხარე ისიც იყო, რომ სხვადასხვა საკრებულოების წარმომადგენლებმა ახლოს გავიცანით ერთმანეთი. სწორი წარმოდგენა შეგვექმნა საკრებულოების ავ-კარგზე, მათ სიხარულსა და ტკივილებზე.

მთავარი პრობლემა, რაც სინოდზე დავინახე, არის ურთიერთობა კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის. იმედი მაქვს, ეს პრობლემა დადებითად გადაწყდება და საქართველოში კვლავ დაბრუნდება ის დრო, როდესაც არათუ ქრისტიანებს, სხვა რელიგიების წარმომადგენლებსაც კი ძმური სიყვარულით ეპყრობოდნენ.

სინოდის მეორე სესია, თავისი მუშაობის სტილით, პირველი სესიისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მეორე სესია დაეთმო დეკრეტების დამუშავებას და მის განხილვას. ვფიქრობ, რომ საქართველოში კათოლიკე ეკლესიისთვის

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღეთ. ჩვენი მუშაობის ნაყოფს, ალბათ, მალე დაინახავენ არა მარტო კათოლიკეები, არამედ სხვა, დაინტერესებული პირებიც.

მინდა მადლობა ვუთხრა „საბას“ რედაქციას, რომელმაც საშუალება მომცა ჩემი გულის ნაღები მკითხველისთვის გამეზიარებინა.

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

„საქართველოს კარიტასის“ ახალი პროექტების შესახებ (თუ როგორ დაგვირგვინდა მცირე საგზაო შემთხვევა სასიკეთო პროექტით)

2006 წლის პირველ აპრილს, „კარიტასის“ ამბულატორიის ეზოში შედგა ახალი პროექტის, კერძოდ, „სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრის“ პრეზენტაცია, რომელსაც 50-მდე უცხოელი, ადგილობრივი სტუმარი და „კარიტასის“ წარმომადგენელი დაესწრო.

პროექტის ბედი იტალიაში „გადაწყდა“, როდესაც წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯჯეროტი იტალიაში მისი ერთ-ერთი მორიგი ვიზიტის დროს, საგზაო შემთხვევის შედეგად მიღებული ტრამვის გამო, რომის სული წმიდის საავადმყოფოში (Ospedale Santo Spirito Di Roma) მოხვდა, სადაც ექიმებს პროფესორ მარჩელო ჩელესტინის და დოქტორ ფაბიო კატალანოს შეხვდა.

მონსინიორ კლავდიო გუჯჯეროტიმ მათ მოუთხრო საქართველოზე, მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე და მდიდარ კულტურაზე, აგრეთვე დღევანდელი მოსახლეობის სიდუხჭირეზე, „საქართველოს კარიტასის“ საქმიანობასა და იმ ყოველდღიურ პრობლემებზე, რომელსაც აწყდება ადგილობრივი „კარიტასი“ ამა თუ იმ სოციალური ან სამედიცინო პროექტების განხორციელებისას.

მთავარეპისკოპოსმა ექიმები საქართველოში დაპატიჟა და ისინიც ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს ესტუმრნენ. მათ შეხვედრები ჰქონდათ სხვადასხვა დონეზე, ასევე, მოინახულეს „საქართველოს კარიტასის“ სამედიცინო და სოციალური პროექტები, ტრენინგები ჩაუტარეს „კარიტასის“ მედპერსონალს.

საქმის საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ, მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა მოკლე ხანში, თბილისში „კარიტასის“ ამბულატორიის ეზოში „სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრის“ შენობა აგებულიყო, რომელიც მათივე მხარდაჭერით აღიჭურვა სათანადო სამედიცინო აპარატურითა და ინვენტარით.

აღნიშნული „სარეაბილიტაციო ცენტრის“ პროექტის განხორციელებაში, „კარიტასს“ მატერიალური მხარდაჭერა აღმოუჩინა წმიდა საყდართან საქართველოს ელჩმა ქალბატონმა ქეთევან ბაგრატიონ-ორსინიმ და მისმა ოჯახმა. ცენტრის პრეზენტაციაზე თვით მისი აღმატებულება, პრინცი რაიმონდო ორსინი ღარაგონა ჩამობრძანდა. ცენტრის შესასვლელთან მემორიალური დაფა გაკეთდა, რომელიც მათი დაღუპული შვილის ხსოვნას მიეძღვნა.

ამრიგად, უმნიშვნელო საგზაო შემთხვევა ასეთი კარგი და მეტად მნიშვნელოვანი შედეგით დაგვირგვინდა. პროფესორმა მარჩელო ჩელესტინიმ და დოქტორ ფაბიო კატალანომ მომავლისათვის სხვა მნიშვნელოვანი წინადადებებიც შესთავაზეს „საქართველოს კარიტასს“.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ამ წერილით გვსურს დიდი მადლობა გადავუხადოთ „სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრის“ იტალიელ პარტნიორებს პროფესორ მარჩელო ჩელესტინის, დოქტორ ფაბიო კატალანოს, ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონ-ორსინის ოჯახს და ყველა სხვა კეთილ ადამიანს, ვინც

მონაწილეობა მიიღო საქართველოში ასეთი კეთილშობილური საქმის განხორციელებაში.

განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადავუხადოთ მონსინიორ კლავდიო გუჯეროტის, რომელიმაც, საქართველოში ჩამოსვლის პირველივე დღეებიდანვე, არაერთი კეთილშობილური პროექტის განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა, იყო ეს უკიდურესად გაჭირვებული ბავშვების, ახალგაზრდებისა თუ მარტოხელა ხანდაზმულთა საკეთილდღეოდ. იტალიაში ყოველი ვიზიტის შემდეგ იგი საქართველოში ხელცარიელი იშვიათად თუ ბრუნდება.

„საქართველოს კარიტასის“ თანამშრომლები

„კარიტასის“ ახალი პროექტები

ავტოსახელოსნო „სან ძენო“

2006 წლის 3 ივნისს „საქართველოს კარიტასს“ გაღებულენეზელ (იტალია) პარტნიორთა წარმომადგენლები ეწვივნენ. მათ მხარი დაუჭირეს, ნაძალადევის რაიონში მდებარე ბავშვთა კომპლექსის ტერიტორიის ნაწილზე ავტოსერვისის გახსნას. აღნიშნული ავტოსახელოსნო დარეგისტრირდა, როგორც შ.პ.ს. „სან ძენო“. პროექტი მიზნად ისახავს მაღალპროფესიულ ავტომომსახურებას, ბავშვთა კომპლექსის მოზარდებისათვის ხელობის (ვიწრო სპეციალობის) შესწავლას და მომავალში მათ დასაქმებას.

ავტოსერვისისაგან მიღებული მოგების ნაწილი თვით „კარიტასის“ ბავშვთა კომპლექსს, ჰუმანიტარულ სასაღილოს, ან სამედიცინო თუ სოციალური პროექტების შენახვა-განხორციელებას მოხმარდება.

ამრიგად, „საქართველოს კარიტასი“ პარალელურად განვითარების პროექტების განხორციელებას შეუდგა, რათა მომავალში, თანდათანობით, ნაკლებად იყოს დამოკიდებული უცხოელი დონორების ორგანიზაციებზე.

„საქართველოს კარიტასი“

სოციალური სწავლება სამრევლოებში

CRS-ის ფინანსური მხარდაჭერით, 2006 წელს სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკაში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) კათოლიკური სამრევლოებისათვის, ერთდროულად ხორციელდება PSM-ის სწავლების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს თითოეული სამრევლოს წევრთაგან ლიდერების გამოვლენას, მათ ჩართვას ეკლესიის სოციალურ სწავლებაში, რათა შემდგომში თვითონ გაუძღვნენ ამა თუ იმ რეგიონში სხვადასხვა სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის მინიპროექტების განხორციელებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2006 წლის 16 იანვარს „საქართველოს კარიტასში“ შედგა შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა CRS-ის მიერ შემოთავაზებული პროექტის წარდგენას. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც „საქართველოს კარიტასის“ წარმომადგენლები, ასევე, CRS-ის წარმომადგენელი ბატონი ჯეიკ ჰერშმანი და საქართველოს კათოლიკე საკრებულოების წინამძღვრები.

„კარიტასის“ პროგრამები მენეჯერმა, ქალბატონმა ლიანა მხეიძემ წარმოადგინა და განმარტა აღნიშნული პროექტის მთავარი იდეა და მიზანი, ასევე, ის გზები, რომელიც CRS-ის მიერ დღეისათვისაა განსაზღვრული.

პროექტის მთავარი მიზანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების „კარიტასებმა“ სამრევლოებში შექმნილ „კარიტასის“ ჯგუფებთან ერთად განახორციელონ საქმიანობა, რათა ცხოვრებაში გაატარონ ქრისტიანობით შთაგონებული სოციალური სამართლიანობის და მოხალისეობის იდეა. ამისათვის კი საწიროა გამოვლინდეს აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მსურველი სამრევლოები, რაც, თავის მხრივ, ამ სამრევლოების მოძღვრებისაგან ითხოვს პასუხისმგებლობის გაცნობიერებას და თავის თავზე აღებას.

ამ ეტაპზე სამრევლოს წინამძღვარმა მრევლიდან უნდა გამოავლინოს აქტიური ლიდერი, რომელსაც ძალა შესწევს CRS-ის მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე მიღებული ცოდნა გადასცეს საკრებულოს მოხალისეებს და ანიმატორებს და შემდგომში მათთან ერთად განახორციელოს არსებულ და გამოვლენილ პრობლემებზე მიმართული მინი-პროექტები.

დღეისათვის პროექტის პირველი და მეორე ეტაპის სწავლება, ანუ ტრენინგი CRS-ის მიერ ჩატარდა ჯერ სამივე რესპუბლიკის „კარიტასის“ წარმომადგენლებს, რომლებმაც, თავის მხრივ, იგივე ტრენინგები ჩატარეს თავიანთ რესპუბლიკებში სხვადასხვა სამრევლოებში. კერძოდ, საქართველოში სამრეგიონში (თბილისი, ახალციხე, ქუთაისი) ჩატარდა ტრენინგები, სადაც სამრევლოების მოძღვრების მიერ დასახელებული ლიდერები ჩაერთვნენ აღნიშნული პროგრამის სწავლებაში. თბილისის ჯგუფში გორის სამრევლოს ლიდერებიც არიან ჩართულნი, ახალციხის ჯგუფში – სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ხოლო ქუთაისის ჯგუფში კი – დასავლეთ საქართველოს სამრევლოების ლიდერები. საქართველოდან სულ PSM-ის პროექტში მონაწილეობს 40-მდე წევრი (ლიდერი).

მეორე ეტაპის დასასრულს, სამრევლოების მიერ წარმოდგენილი 8 საპროექტო წინადადებიდან პირველი 5 პროექტი უკვე დაფინანსდა CRS-ის მიერ. ვულოცავთ ამ პროექტებში გამარჯვებულებს.

ვფიქრობთ სწავლების ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს, რათა ეს ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცეს.

„საქართველოს კარიტასი“

პრეზენტაცია „გორის კარიტასში“

23 ოქტომბერს „გორის კარიტასში“ ამოქმედდა მოხალისეთა ჯგუფის მიერ დაწერილი პროექტი: “მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა აღმზრდელობითი ცენტრი“. ცენტრში 15 ბავშვია გაერთიანებული, რომლებიც ბეჯითად მეცადინეობენ მოხალისეების: მარი მამუკაშვილის, ნატალია ალავერდაშვილისა და მაია ხმიადაშვილის ხელმძღვანელობით. პროექტის პროგრამა შესაბამისობაშია სკოლო პროგრამებთან.

პროექტის პრეზენტაციის დღეს, ბავშვების მიერ განცდილ სიხარულს ისიც დაემატა, რომ მათ დაბადების დღე მიულოცეს მამა ზურაბ კაკაჩიშვილს, რომელიც ამ პროექტის პასუხისმგებელია.

მოხალისეთა ჯგუფი მადლიერებას გამოხატავს ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვისაც კი წვლილი მიუძღვის ამ პროექტის განხორციელებაში.

მაია ხმიადაშვილი

წინასაშობაო ნეოკატეხუმენალური კატეხეზები

წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა ეკლესიაში უკვე მე-16 წელია ფუნქციონირებს ნეოკატეხუმენალური გზის საკრებულო. ყოველწლიურად აღდგომისა და შობის წინა პერიოდში, ყველა მსურველთათვის, ვისაც აწუხებს

სულიერი პრობლემები, ეძებს გზას სიძნელის დასაძლევად, ცდილობს იპოვოს პასუხი რწმენასთან დაკავშირებულ კითხვებთან დაკავშირებით იწვევენ საგანგებო კატეხეზებზე. კატეხეზების დასრულების შემდეგ კი ახალი ნეოკატეხუმენალური საკრებულო ყალიბდება და თავის ოცწლიან გზას იწყებს. კატეხეზებზე ნებისმიერ ადამიანს (აღმსარებლობის მიუხედავად) შეუძლია დასწრება, შემდეგ კი საკუთარი არჩევანით განსაზღვრავს გააგრძელოს თუ არა ნეოკატეხუმენალური გზა.

16 წლის განმავლობაში 1000-ზე მეტმა ადამიანმა (ზოგმა რამდენჯერმე) მოისმინა სულიერი კატეხეზები და თუ ზოგიერთმა შემდეგ აღარ გააგრძელა ნეოკატეხუმენალური გზა, საინტერესო და საჭირო სულიერი გამოცდილება და სახარებისეული ცოდნა შეიძინა.

ნუგზარ ბარდაველიძე

ინფორმაცია

ასირიულ-ქალდეური ახალგაზრდული ცენტრი

საყოველთაოდ ცნობილია ის ზეგავლენა, რაც ასირიულ-ბაბილონურმა კულტურამ, ლიტერატურამ, ტექნიკამ და მეცნიერებამ იქონია კაცობრიობის განვითარებაზე.

ასირიულ-ქალდეურ ისტორიას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ფესვები აქვს. ფართოდაა ცნობილი ასურელ მამათა – ჩვენი სულიერი წინაპრების – მოღვაწეობა, რომლებიც აღმოსავლეთიდან საქართველოში მოვიდნენ ქრისტეს შობიდან VI საუკუნეში ქრისტიანული რელიგიის გასამტკიცებლად. მათ დაგვიტოვეს მრავალი კულტურულ-რელიგიური ძეგლი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სიამაყეს წარმოადგენენ, ასეთებია: შიომღვიმის, სტეფანწმიდის, დავითგარეჯის, ბრეთის, იყალთოს, ალავერდის, მარტყოფისა და სხვა მონასტრები.

საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ტოლერანტობით და პატივისცემით სხვა ერების წარმომადგენლების მიმართ. და ჩვენც, აქ მცხოვრები ასირიელები, ყოველთვის აღვიქვამდით საქართველოს ჩვენს სამშობლოდ და მივიჩნევდით ჩვენს თავს მის სრულფასოვან მოქალაქეებად.

თბილისში (აღექსანდე ყაზბეგის პროსპექტი, 34) მშენებარე ასირიულ-ქალდეური ახალგაზრდული ცენტრი საქართველოს მასშტაბით პირველი და ერთადერთია, იგი მიზნად ისახავს ასირიულ-ქალდეური კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებას, განვითარებას და პოპულარიზაციას ასირიელთა შორის. არსებობს უდიდესი სურვილი შევინარჩუნოთ და გადავცეთ მომავალ თაობებს ის კულტურული საგანძური, რაც დღეს გვაქვს. ეს ცენტრი იქნება ყველა ასირიელის თავშეყრის ადგილი.

საქართველოში 7 ათასამდე ასირიელი ცხოვრობს. ასირიელებს აქვთ დიდი რელიგიური კულტურა და წარსული, ამიტომაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ზემოთაღნიშნულ ცენტრში საერო კულტურის განვითარებასთან ერთად დიდი ადგილი დაეთმობა რელიგიას, რაც თვითმყოფადობის შენარჩუნების თუ არა ერთადერთი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა ჩვენი მრავალტანჯული ერისათვის, ერისათვის, რომელსაც არ გააჩნია თავისი სამშობლო, ერისათვის, რომელიც დღესაც, მიუხედავად უდიდესი დევნისა და ტანჯვისა, სისხლის ფასად ინარჩუნებს ქრისტიანობას ერაყში.

მამა ბენიამინ ბეთ – იადეგარი,
ასირიულ-ქალდეური კათოლიკური მისიის
მოდღვარი ამიერკავკასიაში

ლექსიკონის პრეზენტაცია ქუთაისში

2006 წლის 18 ოქტომბერს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა მამა ლუიჯი მანტოვანისა და მარინა ოცხელის მიერ გამოცემული იტალიურ-ქართული ლექსიკონის პრეზენტაცია. ის იყო საქართველოში იტალიის დღეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა.

უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა გიორგი ონიანმა ვრცლად და ისაუბრა ქართულ-იტალიური ურთიერთობების განვითარების შესახებ. მან სურვილი გამოთქვა, რომ, ახლო მომავალში თუ არა, პერსპექტივაში მაინც, უნივერსიტეტში იტალიური ენის სპეციალობა გაიხსნას. მანვე ხაზი გაუსვა იტალიური კულტურის უდიდეს მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ამ კულტურასთან ზიარება საქართველოშიც არ არის ძნელი, რადგანაც ნიადაგი აქაც ნოყიერია.

საპატიო სტუმართა შორის გახლდათ საქართველოში იტალიის საელჩოს წარმომადგენელი ქალბატონი სილვანა მუცატი, რომელმაც უნივერსიტეტს უსახსოვრა ლექსიკონები, თვითმასწავლებლები, ვიდეოკასეტები და იტალიურ ენაზე გამოცემული სხვა საინტერესო ლიტერატურა და თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

მამა ლუიჯი მანტოვანიმ, რომელმაც ქალბატონ მარინა ოცხელთან ერთად, ეს შესანიშნავი ლექსიკოგრაფიული გამოცემა მოუმზადა ქართველ და იტალიელ ხალხს, აღნიშნა წინამორბედ ლექსიკონთა მნიშვნელობა და დაასაბუთა ახლის გამოცემის აუცილებლობა. მან ისაუბრა, თუ როგორ იქმნებოდა ლექსიკონი და მადლობა გადაუხადა თითოეულ თანამშრომელს ამ საქმეში დახმარებისათვის და მათთან ხელახალი თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა, რადგან ახალი ქართულ-იტალიური ლექსიკონი არანაკლებ შრომასა და რუდუნებას მოითხოვს, რათა ისიც მალე გამოჩნდეს წიგნის თაროზე.

ლექსიკონზე მუშაობისას მამა ლუიჯის ესმარებოდნენ ქალბატონები ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, ლალი ჩარკვიანი, თამრიკო არუთინოვა და ბატონი გიორგი სანიკიძე. მათთან ერთად მეც მხვდა პატივი ამ მნიშვნელოვან საქმეში მიმედლო მონაწილეობა.

უნდა ვთქვა, რომ მამა ლუიჯის სახით იტალიელ ხალხს ერუდიციის, საგანგებო განსწავლულობის, კეთილშობილების ღირსეული დესპანი ჰყავს საქართველოში. იგი თავისი დვაწლითა და ჰუმანურობით მართლაც რომ იმსახურებს პირველი ბატონის სიტყვის თქმის უფლებას.

თანამომხსენებელმა, ქალბატონმა მარინა ოცხელმა, წიგნზე მუშაობის დროს მომხდარი კურიოზული ეპიზოდები გაიხსენა.

იტალიურ-ქართული ლექსიკონის უდიდესი მნიშვნელობის აღნიშვნისას მამა ლუიჯის განსაკუთრებული მადლიერებით მიმართა პროფესორმა ჟუჟუნა ფეიქრიშვილმა. მისთვის არა მარტო ლექსიკონია უდიდესი მონაპოვარი, არამედ ის ფაქიზი დამოკიდებულება ქართული ენისადმი, რასაც ლუიჯი მანტოვანი უკვე ათი წელია იჩენს.

18 ოქტომბერს ქუთაისში ქართულ-იტალიური ურთიერთობის ცენტრი გაიხსნა და ამ დღეს მართლაც სიმბოლური იყო ამ ლექსიკონის პრეზენტაცია.

ნინო ჟღენტი
ქუთაისი

ტრადიცია გრძელდება

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტში ტრადიციად იქცა I კურსელთათვის სტუდენტური ბილეთების გადაცემა საზეიმო ვითარებაში – ტანძიაში, სულხან-საბა ორბელიანის სახლმუზეუმში.

წელსაც, 21 ოქტომბერს ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორები ერთად გავემგზავრეთ ტანძიაში. სულხან-საბას სახლ-მუზეუმის მონახულების შემდეგ, ინსტიტუტის რექტორმა მამა პიერ დიუმულენმა პირველკურსელებს სტუდენტური ბილეთები გადმოგვცა. ამის შემდეგ ბოლნისში წავედით.

მოვინახულეთ პატარა ბოლნისის ტაძარიც, რომელიც მუსლიმებით დასახლებულ სოფელში დგას და სრული განადგურების პირასაა მისული.

შინისაკენ წამოსულებმა წუდრუდაშენის ეკლესიაც ვნახეთ, მოვინახულეთ მე-18 საუკუნის ქოლოგიის ციხე-სიმაგრეც, მის ეზოში კი წმ. ქეთევან წამებულის სამონასტრო კომპლექსია.

ასე გავიდა ეს ღამე და დღე და ჩვენი ერთდღიანი მოგზაურობაც დასრულდა. დიდი მადლობა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას ასეთი შესანიშნავი შთაბეჭდილებებისათვის.

ანა ახალაძე

დედა ტერეზა სასკოლო სახელმძღვანელოში

მიმდინარე წლის საშუალო სკოლის მე-10 კლასში ახალი საგანი „სამოქალაქო განათლება“ დაინერგა. სახელმძღვანელოს ავტორები არიან თამარ მეიფარიანი და ლელა მიქიაშვილი.

სახელმძღვანელოს მიზანია, მოზარდები შეაჩვიოს დამოუკიდებელ აზროვნებას, საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებას. თამამად შეიძლება ითქვას, მსგავსი ტიპის სახელმძღვანელო საქართველოში ჯერ არ შექმნილა.

სახელმძღვანელოს ერთ-ერთი პირველი გაკვეთილი, რომლის სათაურია: „რა მსურს და რა შემიძლია“, აშუქებს წმ. ექვთიმე თაყაიშვილის და ნეტარი დედა ტერეზას ღვაწლს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების ამ ორი ახლადშერაცხული წმიდანის ბიოგრაფიის გაცნობა კეთილ მაგალითს აძლევს მოსწავლეებს ცხოვრების მომავალი გზის არჩევაში და თვალსაჩინო მაგალითია ტოლერანტობისა და ინტერკონფესიური ურთიერთობების განსამტკიცებლად.

დედა ტერეზას მიერ უპოვართა ზრუნვაში გატარებული ხანგრძლივი ცხოვრება ჭეშმარიტად კარგი მაგალითის მიმცემი იქნება საქართველოს ახალგაზრდებისთვის, რომელთაც, სამწუხაროდ, მეტად მწირი ინფორმაცია აქვთ XX საუკუნის ამ ლეგენდარული პიროვნების შესახებ.

ნუგზარ ბარდაველიძე

პრეზენტაცია „ამბასადორში“

ქრისტიან ქალთა ინტერკონფესიური კავშირი თავისი არსებობის მეორე წელს ითვლის. ამ პერიოდის განმავლობაში ასოციაციაში გაერთიანებულმა მართლმადიდებელმა, კათოლიკე და პროტესტანტული ეკლესიების (სულ ცხრა ეკლესია და დენომინაცია) წარმომადგენელმა ქალბატონებმა მრავალი პუმანიტარული და კულტურულ-აღმზრდელითი აქცია ჩატარეს, პრაქტიკულ

საქმიანობაში მოსინჯეს თავი და, როცა კარგად დარწმუნდნენ, რომ მათი გაერთიანება მართლაც სასიკეთო და იმედის მომტანია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის იმ ფენისათვის, რომელიც უაღრესად გაჭირვებულია და შველასა და სასოებას მოელოს, გადაწყვიტეს, იურიდიულად განემტკიცებინათ თავიანთი სტატუსი. ეს, ალბათ, სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან, როდესაც პრაქტიკულ საქმიანობაში გამოცდი საკუთარ თავსაც და თანამოაზრესაც, შენი გაკეთებული საქმის ნაყოფსაც იხილავ, სტატუსები და რეგისტრაციები მერე უფრო გამართლებულია. რამდენი გაერთიანება გვინახავს დიდი ზარ-ზეიმით დაფუძნებული და საპრეზენტაციო ფურშეტით დამთავრებული...

მარტო იმის არასრული ჩამონათვალიც კი საკმარისი იქნება იმის დასანახად, რაც განვლილი წლის მანძილზე გააკეთეს ქრისტიან ქალთა კავშირის წევრებმა, – დაწყებული ბავშვებისთვის გაწეული დახმარებებით და დამთავრებული პატიმარი ქალების სისტემატური საქველმოქმედო აქციებით.

ასოციაციის წევრები ზაფხულში ცემის მოზარდთა ინტერკონფესიურ ბანაკში აღმზრდელებად მოგვევლინენ.

კონფლიქტების დარეგულირების ცენტრი და რელიგიური გაერთიანებები მხარში უდგნენ ქრისტიან ქალთა წამოწყებას. „ამბასადორში“ პრეზენტაციაც სწორედ კომფლიქტების დარეგულირების ცენტრის დახმარებით გახდა შესაძლებელი.

„ამბასადორში“ შეკრებილ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რელიგიის, განათლებისა და კულტურის წარმომადგენლებს, დამსწრე საზოგადოებას ქრისტიანმა ქალებმა, ტექნიკური თვალსაჩინოების გამოყენებით, წარუდგინეს წელიწადნახევრის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ამსხველი მასალა.

ამ დღეს მრავალი თბილი სიტყვა ითქვა ქალების მისამართით. ამ მილოცვებს და კეთილ სურვილებს უერთდება ჟურნალი „საბაც“ და თავისი მკითხველის სახელითაც წარმატებას უსურვებს საქართველოს ქრისტიან ქალებს, რომლებმაც, რელიგიური შემწყნარებლობის თვალსაზრისით არც თუ მშვიდ დროს, შეძლეს გამოენახათ ერთად თანამშრომლობისა და ქრისტიანული გულმოდგინების საქმით დამოწმების შინაგანი ძალა და სურვილი.

ნუგზარ ბარდაველიძე

“სიმართლისა და სამართლისათვის ივლიტის ეკლესიაზე”

ახალციხის რაიონის სოფელ ივლიტის ეკლესია ერთ-ერთია იმ ხუთი კათოლიკური ტაძრიდან, რომელიც 90-იან წლებში უკანონოდ გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს. მიუხედავად მრევლის კატეგორიული მოთხოვნისა, ტაძრის დაბრუნება დღემდე ვერ მოხერხდა, პირიქით, მართლმადიდებელი მხარე ცდილობს კათოლიკურობის ყოველგვარი კვალი წაშალოს ეკლესიაში.

ახალციხის უნივერსიტეტის პროფესორის თინა იველაშვილის წიგნი “სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია” ამ პრობლემას მიეძღვნა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ნებართვით გამოიცა, წინასწარი განზრახვით, კათოლიკეთა და მართლმადიდებლებს შორის დაპირისპირების გასაღვივებლად დაიწერა. ავტორი მოკვლეული მასალებიდან ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს ივლიტის ეკლესიის მართლმადიდებლურ წარმომავლობას და გვერდს უვლის იმ ისტორიულ მასალებს, რომლებიც საპირისპიროს მეტყველებენ. სწორედ აღნიშნული დეზინფორმაციული და მდარე

ინტელექტუალური ხარისხის წიგნის პასუხად დაიწერა მამა გაბრიელე ბრაგანტინისა და პროფესორ ნუგზარ პაპუაშვილის ბროშურა “სიმართლისა და სამართლისათვის ივლიტის ეკლესიაზე”. ავტორები ცდილობენ ამხილონ ქალბატონ იველაშვილის წიგნის სიყალბე და შეძლებისდაგვარად სინათლე მოჰფინონ ივლიტის ეკლესიის კუთვნილების საკითხს.

25 ოქტომბერს თსუ მესხეთის ფილიალში მიმდინარე სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში გაიმართა ამ წიგნის პრეზენტაცია. დარბაზში შეიკრიბნენ ივლიტის ეკლესიის მრევლი, უნივერსიტეტის პროფესორა და სტუდენტები, თბილისიდან მოწვეული სტუმრები. პრეზენტაცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, მან აღნიშნა რომ წიგნის განხილვა სწორედ იმიტომ გადაწყდა ახალციხის უნივერსიტეტში, რომ ნაშრომი სამცხე-ჯავახეთს შეეხებოდა. მან მოუწოდა აუდიტორიას მშვიდად და აკადემიურად ემსჯელათ აღნიშნული საკითხის ირგვლივ. სხდომა ახალი დაწყებული იყო, როდესაც დარბაზში შემოვიდა მართლმადიდებელ ფანატიკოსთა ჯგუფი, რომლებიც, სამწუხაროდ, აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. მათ გამოსვლებში აქცენტი გააკეთეს ეკლესიებს შორის დოგმატურ განსხვავებებზე და არც კი უცდიათ იმ საკითხის ირგვლივ მშვიდად ესაუბრათ, რისთვისაც აუდიტორია იყო შეკრებილი. საბედნიეროდ, მათ გამოხდომებს დარბაზი არ აჰყვა, რის შემდეგაც მათ დატოვეს შეხვედრა. პრეზენტაციაზე ოფიციალურად მოწვეული იყო ქალბატონი იველაშვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, პროფესორმა არ ინება მოსვლა და თავისი ნაშრომის მეცნიერული განხილვა. როგორც მან გაზეთ “სამხრეთის კარიბჭეს” განუცხადა, ის პრეზენტაციის თაობაზე არავის გაუფრთხილებია, ახალციხეში მომდევნო დღეს ჩამოვიდა და არაფერი საწინააღმდეგო არ ჰქონდა კათოლიკე ეკლესიისა.

მამა გაბრიელემ თავის გამოსვლაში ისაუბრა წარსულში კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის ნორმალურ ურთიერთობებზე და იმედი გამოთქვა, რომ სიმართლეს ნათელი მოეფინება. ნუგზარ პაპუაშვილის თქმით კი, არსებობს არაერთი ისტორიული საბუთი, რომელიც ცალსახად ამტკიცებს, რომ ჩამორთმევამდე ეკლესია კათოლიკური იყო და რესტიტუციის საერთაშორისო კანონის შესაბამისად, ეს ნაგებობა უნდა დაუბრუნდეს ადრინდელ მფლობელს.

უნივერსიტეტის პროფესორებმა ისაუბრეს პრობლემის შესახებ და ძირითადი აქცენტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე კათოლიკე და მართლმადიდებელი მრევლის მშვიდობიან თანაცხოვრებაზე და მესხეთში XIX საუკუნეში მოღვაწე კათოლიკე მამებზე გააკეთეს, რომლებიც დაუღალავად იღვწოდნენ სამცხე-ჯავახეთში ქართული ენისა და, საერთოდ, ქართველობის გადასარჩენად.

ივლიტის მრევლისთვის კი ამ შეხვედრაზე ახალი არაფერი თქმულა, საკუთარი მესხიერება მათთვის საუკეთესო ნათელი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ტაძარი ნამდვილად კათოლიკეების კუთვნილებაა. გულდასაწყვეტია, რომ დღეს საქართველოში არსებული რელიგიური მდგომარეობა საშუალებას არ აძლევს კათოლიკურ საზოგადოებას ღმრთისმსახურება თავის საკუთარ, მათი წინაპრების მიერ აშენებულ ტაძრებში აღასრულონ.

ვასიკო ბალიაშვილი

შესაძლოა, ცოტა უცნაურად ჩანდეს სიხარული იმ აქტების ქართული თარგმანის გამოცემის გამო, რომელიც საქართველოდან შორს, რომში, 40 წლის წინათ ჩატარებულმა საეკლესიო კრებამ მიიღო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრის მიერ გამოცემული ამ აქტების თარგმნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის, ვისაც დღევანდელი კათოლიკე ეკლესიის სულისა და გულისცემის შეცნობა სურს...

სხვა საეკლესიო კრებებისაგან განსხვავებით, ვატიკანის II საეკლესიო კრებას არავინ განუკითხავს და არავინ გაუკიცხავს, არ გამოუცია კანონები და არც რწმენის საკითხებზე მიუღია გადამწყვეტი დადგენილებები. ეს ახალი ტიპის საეკლესიო კრება – სამწყსო კრება – იყო, რომელმაც დღევანდელ სამყაროსთან სახარების მიახლოება სცადა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სახასიათო ნიშანი ამ კრების სიდიადეზე მეტყველებს და ყველა შემდეგი საეკლესიო კრების მომავალზე აისახება...

მაგრამ საეკლესიო კრების სიდიადე ტრადიციის წიაღში დღევანდელი დღის აქცენტირების წარმატებულ მცდელობაშია. დღევანდელი პრობლემები პასუხის გაცემას საჭიროებს და ვატიკანის II კრებამ დიდებულად გაართვა თავი ამ ამოცანას, უპასუხა არსებულ კითხვებს და წინასწარ განჭვრიტა ახალთა წარმოშობა. ეს კრება სწორედ იმიტომ არის სამწყსო კრება, რომ ის თანამედროვე ადამიანს დაუდგა გვერდით.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ აქტების გაცნობით, მათზე დაკვირვებითა და განსჯით შესაძლოა იმის შეგრძნება, თუ როგორ იმოქმედა სული წმიდამ და როგორ შეიტანა ჰაერის ცოცხალი ნაკადი ეკლესიის ცხოვრებაში...

რატომ არის მნიშვნელოვანი ამ აქტების ქართულად თარგმნა?

საქართველოს ისტორია და კულტურა იესო ქრისტეს მოვლენაშია ფესვგადგმული. სირთულეების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ საქართველო ახლა წინ იყურება... ნამდვილი მომავლის შესაქმნელად ხალხმა ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც მატერიალურს, ისევე სულიერს. ამ აქტებში თავმოყრილი და გადმოცემული განსჯის გამოცდილება შესაძლოა, დაეხმაროს მათ, ვისაც წინ ყურება სურს.

კათოლიკე ეკლესია, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად მუდამ აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ცხოვრებაში, მოხარულია, რომ ამ მასალების მეშვეობითაც შეუძლია გააცნოს საზოგადოებას თავისი მოქმედების ძირითადი მიმართულებები და დარწმუნებულია, რომ ეს ნაბიჯი მის უფრო უკეთ გაცნობას შეუწყობს ხელს. უკეთესად გაცნობა კი უეჭველად გამოიწვევს ქრისტიანულ კონფესიათა მეგობრობის გაღრმავებას, მათ შორის სრული და უფრო მტკიცე ერთიანობის სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისითაც...

ამ მიმართულებებმა, რომელთა მეშვეობითაც ეკლესია ღმრთის ერთგული რჩება, რადგანაც დღეს ადამიანის გვერდით დგას და მისთვის იღწვის, დაიპყრო ჩემი გული და მიმადებინეს გადაწყვეტილება, მთელი ჩემი სიცოცხლე მიუძღვნა იმ ეკლესიის სიყვარულსა და მსახურებას, რომელზეც ოცნებობს ვატიკანის II კრება და რომელზეც მეც ვოცნებობ.

ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო
ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო
ადმინისტრატორი საქართველოში

ახალგაზრდული გვერდი

ფორმაცია ახალგაზრდებში

ევანგელიზაცია და ინკულტურაცია (წაკითხული სინოდის პირველ სესიაზე)

ახალგაზრდები და ახალგაზრდული სამყარო მუდმივად ჩართულია ფორმაციაში. ფორმაციის გარეშე მათი შენარჩუნება ძალზე ძნელია.

ფორმაციაში მუდმივი ზრდა ახალგაზრდების ეკლესიაში შენარჩუნების ერთადერთი შანსია, რადგანაც ისინი ყოველთვის სიახლეს ეძებენ. პირველ რიგში, აუცილებელია მათ აღვუძრათ ეკლესიაში მოსვლის სურვილი. თუ ახალგაზრდები არ გვეყოლება, ვისთან ჩავატაროთ ფორმაცია? უპირველესად ყურადღება მივაპყროთ იმ პრობლემებს, რაც მათ გვაკარგვინებს, ჯერ ვეძებოთ დაფანტული, დაკარგული წევრები და შემდეგ მოვიზიდოთ ახალეები.

აუცილებელია ახალგაზრდებისთვის შემუშავდეს სპეციალური პროგრამა, ჩამოყალიბდეს ჯგუფი, რომელიც მუდმივად ახალგაზრდების სამსახურში იქნება. ახალგაზრდული საბჭო ზუსტად ამისთვისაა, მაგრამ მისი მუშაობა ახალგაზრდებთან უფრო ზედაპირულია, უფრო მეტ მხარდაჭერას საჭიროებს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენი მოვალეობა უფრო მოვალეობაა, ვიდრე დახმარება. მართალია, ვხვდებით, ვიგებთ მათ პრობლემებს, ვსაუბრობთ და სულ რამდენიმე დღით იფარგლება ჩვენი ურთიერთობა. საჭიროა უფრო მეტი ჯგუფის ჩამოყალიბება ახალგაზრდების მონაწილეობით.

ქართველი ახალგაზრდებისთვის არანაკლებ მტკივნეულია ინკულტურაციის მომენტი. ზოგი რამ გაუგებარი და მიუღებელია ქართველებისთვის წმ. წირვაზე მონაწილეობისას.

საჭიროა ახალგაზრდების აზრის მოსმენა, საიდანაც იკვეთება შემდეგი:

ა) ჩაცმულობა. რა თქმა უნდა ეს არ არის ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი სულიერი ამადლებისთვის, მაგრამ ამ გარეგნულ შესტებსაც აქვს მეტ-ნაკლები მნიშვნელობა, რადგან ჩვენს სულში ორი სამყაროა და უნდა შეგვეძლოს ერთმანეთის დაქვემდებარება საჭიროებისამებრ. როცა სული ღოცულობს და გრძნობ, რომ წარდგენილი ხარ ღმერთის წინაშე, გრძნობ გარკვეულ მოკრძალებას. ხომ ვერ წახვალ დაბადების დღეზე საცურაო კოსტუმით? უნდა გამკაცრდეს წესები, რა თქმა უნდა, არ უნდა გავაძეოთ ეკლესიიდან, მაგრამ არ უნდა ვაფიქრებინოთ ჩვენს მართლმადიდებელ დებს, რომ ჩვენთვის ყველაფერი სულ ერთია და ყველაფერი დაშვებულია.

ბ) ქართული საგალობლების დანერგვა.

არის შეთავაზება ჩამოყალიბდეს მუსიკოსთა ჯგუფი, რომელიც იზრუნებს საგალობლების გადმოქართულებაზე. პირადად მე დიდი ხანია მაწუხებს უცხოური გალობების პირდაპირ კალკირებული გადმოღება, რაც ერთგვარ უხერხულობას ქმნის და ქართველებში გაუცხოების გრძნობას ბადებს. საქართველოს კულტურა ამ სფეროშიც უნდა გამოჩნდეს. თუნდაც ის, რომ გალობის დროს აქცენტის გაკეთება ისეთ ბგერებზე, რაც ჩვენი ქართული საგალობლებისთვის უცხოა, აზრს უკარგავს მის შინაარსსაც. შეიძლება უცხოელები ამას ვერ გრძნობენ, რადგანაც ეს მათთვის მშობლიური მელოდიაა, მაგრამ ჩვენთვის ეს პრობლემატურია. ამის გამოა, რომ სხვადასხვა საკრებულოებში სხვადასხვა მელოდიურობით გალობენ საგალობლებს და ერთობლივი შეხვედრების დროს ვერ უგებენ ერთმანეთს.

გ) დაკარგული (გაბნეული) ახალგაზრდები

ეს ყველა საკრებულოს ახალგაზრდების პრობლემაა. აუცილებელია რაც შეიძლება სასწრაფოდ გადაწყდეს მათი დახმარების პრობლემა. საჭიროდ მივიჩნევთ დაარსდეს შემდეგი ცენტრები:

- 1) სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდული ცენტრი (ლოცვის ჯგუფი),
- 2) მოხალისეთა ჯგუფის შექმნა,
- 3) სულიერი ვარჯიშების მოწყობა,

4) კატეხისტების ფორმაცია (ვინც ახალგაზრდებთან მუშაობს, მათი ფსოქოლოგიური მომზადება, რაც ახალგაზრდებს დაეხმარება პრობლემების მოგვარებაში).

ახალგაზრდებს იზიდავს შეხვედრები. მით უმეტეს, რომ ჩვენ გვყავს საუკეთესო პროფესორები, რომლებიც ახალგაზრდებს საინტერესო და საჭირო ინფორმაციას მიაწვდიან. საჭიროა ამგვარი შეხვედრები დაიგეგმოს ყველა საკრებულოში და მას მიეცეს სისტემატური ხასიათი. კარგი იქნება, თუ ამგვარ ლექციებს კათოლიკეებთან ერთად მართლმადიდებელი ახალგაზრდებიც დაესწრებიან. არ არის აუცილებელი ეს ლექციები მხოლოდ რელიგიურ თემებზე ჩატარდეს. უნდა მოეწიოს ახალი წიგნების პრეზენტაციები და მივუთითოთ მათ, თუ სად ნახონ ეს წიგნები, რომ დაინტერესდნენ და თავად გაეცნონ საჭირო ლიტერატურას.

უნდა შევადგინოთ ფორმაციის პროგრამა, რომლის შედგენაში ფსიქოლოგებიც იქნებიან ჩართულნი და, რა თქმა უნდა, აუცილებელია ისეთი მოძღვარი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყველა რეგიონის ახალგაზრდებზე.

სხვადასხვა საკრებულოებიდან მოწოდებულთა შეხვედრები უნდა მოეწიოს მონაზვნების ხელმძღვანელობით. საჭიროა ახალგაზრდებმა გაიცნონ და გაიგონ ბერმონაზვნული ცხოვრების ამსახველი მასალა.

ჩამოყალიბდეს იტალიელი „სკაუტების“ მაგვარი ჯგუფები, რომლებიც დაინტერესდებიან გაიცნონ თუნდაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის კულტურა და ზნე-ჩვეულებები, ესტუმრონ ერთმანეთს და გაუზიარონ თავიანთი გამოცდილებები.

კარგი იქნება სხვადასხვა წესის კათოლიკე ახალგაზრდების შეხვედრები და ერთმანეთისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება.

ახალგაზრდების შემოთავაზებაა, რომ სინოდმა იმსჯელოს იმ ახალგაზრდების სულიერ პრობლემებზე, რომლებიც ეკლესიაში დადიან, მაგრამ არ ესწრებიან წმიდა წირვებს და გარეთ დგანან.

პრობლემაა ისიც, რომ სასულიერო და საერო პირები ერთმანეთს ელოდებიან ინიციატივის გამოჩენაში, პასუხისმგებლობას ერთმანეთს აკისრებენ. თითოეული მხარისათვის გარკვეული უნდა იყოს საკუთარი უფლება-მოვალეობები. არის მომენტი, როდესაც გვგონია, რომ ესა თუ ის საკითხი ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, მოძღვრები კი ჩვენ გველოდებიან, ჩვენგან ითხოვენ აქტიურ მოქმედებას.

თეონა ტატალაშვილი

სარჩევი

რედაქციის გვერდი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

სინოდი

ინტერვიუ

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

ინფორმაცია

ახალგაზრდული გვერდი

საგანგებო ჩანართი:

ლიტურგიული წელი

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2006

ლიტურგიული წელი

საგანგებო ჩანართი

2006 წლის 3 დეკემბრის კვირადღეს, ლათინური წესის კათოლიკე ეკლესიაში ახალი ლიტურგიული წელი იწყება. ყველაფერი ახლის დაწყება მიაწინებს სიახლეზე, ხოლო რა სიახლეს გულისხმობს ახალი ლიტურგიული წელი ეკლესიისა და ქრისტიანისათვის? რატომ აგებს ეკლესია თავის რწმენას დროის განზომილებით და რომელია ლიტურგიული წლის ცენტრი? რა არის ლიტურგიული დრო?

ყველას მოეხსენება, რომ ადამიანს ცხოვრება დროსა და სივრცეში უწევს, გამომდინარე აქედან, ადამიანის რწმენაც გამოიხატება რიტუალებში, დღესასწაულებში, დოგმებში და თავის ხილვად ასახვას დროსა და სივრცეში ჰპოვებს. *დრო* და *სივრცე* მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენენ თვით ქრისტიანული რწმენაში და რწმენის ლიტურგიულ მომენტებში. ადამიანის მთელი ცხოვრება დროით, საათებით, დღეებით, თვეებით, წელიწადის დროებითა და წლებით რეგულირდება წლების რბოლა ადამიანის განვლილ ცხოვრებაზე მიაწინებს, მის შობაზე და მის სიკვდილზე, მის ოჯახურ და მის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; *დრო*, როდესაც რაიმე გამორჩეულ თვისებას იძენს, დღესასწაულად, აღსანიშნავ, მოსაგონარ თარიღად გადაიქცევა მაგრამ როგორ განიზომება ეს დრო?

ადამიანი ოდითგანვე განჭვრეტდა სამყაროს; ამ სამყაროში მან ის რიტმი აირჩია, რაც თავად ღმერთმა უწყალობა ქმნილებას. ბიბლიაში ვკითხულობთ: “და იქმნა დღე” (დაბ. 1:15). მზე, მთვარე და ვარსკვლავები, წელიწადის დროებს აწესრიგებენ, ზომავენ თავად ადამიანის ცხოვრებას და განსაზღვრავენ მათ დღესასწაულებს. დროის გასაზომად და კალენდრის შესადგენად, ადამიანი ყოველთვის ითვალისწინებდა მნათობთა მოძრაობებს და რიტმს. ზოგიერთ რელიგიაში მზე და მთვარე ღმერთაებებად მიიჩნეოდა, რადგანაც მათი ზეგავლენა ბუნებაზე და ადამიანზე რაღაც კუთხით სიცოცხლეს და სიკვდილს აღნიშნავდა.

ასევე ქრისტიანული ლიტურგიულ კალენდარიც, იგი თავის ორ უმთავრეს დღესასწაულს, სწორედ ამ მნათობებთან თანხვედრაში აღნიშნავს: აღდგომის დღესასწაული და მისი ციკლი მთვარის ბუნიაობასთან, შობის დღესასწაული – მზის ბუნიაობასთან (*შობის დღესასწაულზე მზე იწყებს მატებას, ხოლო ნათლისმცემლის შობაზე – კლებას*). ქრისტიანული საკვირაო ლიტურგიამ, კვირადღეს, მზის დღეს დაიკავა ადგილი.

რელიგიათა უმრავლესობა გამოარჩევს *პროფანულ ჟამს* – ანუ პერიოდს, რაშიც ადამიანი ყოველდღიურად დაკავებულია სკოლით, სამსახურით – *საკრალური ჟამიდან*, – მხოლოდ ღმრთისადმი გამოყოფილი დროიდან. ქრისტიანებიც თავისებურად განასხვავებენ ამ ორ ჟამს: *ქრონოლოგიური* (ბერძნ. “კრონოს” – *მითოლოგიური ღმრთაება, რომელიც ჭამდა თავის შვილებს; წარმოიდგინთ, რა უარყოფით შინაარსს ატარებს ეს იდეა!*) *ჟამი*, რასაც აჩვენებს ჩვენი საათი, რასაც ატარებს ჩვენი ამქვეყნიური წუხილი; დრო, რომელიც ჩვენ გვჭამს, რაკი გვტაცებს სიყმაწვილეს, ენერგიას. ამიტომაც გაისმის ამდენი უკმაყოფილება დროის მიმართ, ადამიანებს მისი ლამის თავიანთი ცხოვრებიდან ამოგლეჯაც სწადიათ, და მეორე, *წყალობის ჟამი* (ბერძნ. “კაიროს” – *ღმრთისაგან მონახულებული დრო და მისივე წყალობით აღვსებული*).

ლიტურგიული დრო, ერთგვარად, კაიროს ჟამია კრონოს-ში. ქრისტიანი დროს არ უყურებს ისე, როგორც ბერძნული მითოლოგია, ანუ “*დროის დაკარგვად*”, არამედ წყალობით სავსე დროდ, რადგან თავად ღმერთმა შექმნა *დრო* თავისი რიტმით და აკურთხა იგი. ღმერთმა ადამიანი არა მხოლოდ ამქვეყნიურ ედემში მოათავსა და ყოველი სიკეთე უწყალობა, არამედ დრო-ჟამში ჩასვა. შეუძლებელია დროის, კურთხეული ჟამის გარეშე იფიქრო ადამიანის და ყველა ქმნილების არსებობა. მაშინაც კი, როდესაც ადამიანის ცდომილების გამო, დრო ცოდვის ნიშნად იქცა, ღმერთმა ისურვა ადამიანის, მისი სამყაროსი და მისი ჟამის გადარჩენა. აი, რატომაც ამოირჩია ღმერთმა დედამიწის მრავალი ხალხიდან ერთ ერი და დაამყარა მასთან კავშირი; მასთან ერთად დაწერა ჟამთასვლისა და ხსნის ისტორია, ხორცი შეასხა იმ ურიცხვი ისტორიული მოვლენებით, რაც სწორედ ჟამთასვლით განხორციელდა. ისრაელის ერი იქცა ყველა ხალხის სიმბოლოდ, ხოლო მისი ჟამი ყველა ხალხის ჟამად. ღმერთმა ჟამთასვლაში შეადწია აბრაამისა და მისი შთამომავლების მეშვეობით; ეს მართლაც რომ დიდებული ისტორია იყო, რწმენაზე და ურწმუნობაზე აგებული; ამ ისტორიას უწინარესად ღმრთის ბეჭედი აღნიშნავს, მას ხომ თავისი აღთქმის განახლება მაშინაც სურდა, როდესაც ხალხი ამ კავშირს წყვეტდა. ისრაელის ისტორიაში და დრო-ჟამში მოხდენილი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, უთუოდ იყო პასეჟი, გაზაფხული ბუნიაობაზე. ღმრთის ხელი ჩაერია მისი ხალხის ისტორიაში, გამოიხსნა ის ფარაონის რისხვისაგან, გადაიყვანა ისინი ზღვაზე, ატარა უდაბნოში და გაუძღვა აღთქმული მიწისკენ. ყველაფერი ეს ღრმა კვალს დატოვებს ისრაელის ისტორიაზე და მის ჟამთასვლაზე. თავად ღმერთი უბრძანებს მას ამ მოვლენის გახსენებას თაობიდან თაობამდე, ვიდრე გაზაფხულის ბუნიაობა ჩაივლიდეს, და ეს იქნება პირველი თვის, ნისანის 14 რიცხვში. ამ ძირითადი დღესასწაულიდან წარმოიშვა მომავალი დღესასწაულები, ამ მოვლენასთან დაკავშირებულნი და წელიწადის დროების რიტმით დანაწილდა. მეორე მნიშვნელოვანი დღესასწაული ებრაელთათვის იქნება *შაბათი*, ღმრთის მიერ სამყაროს შექმნის მწვერვალთან დაკავშირებული დღე.

მიუხედავად ყველაფერისა, გამოხსნის ისტორია და გამოხსნის ჟამი, ღმრთის მიერ მიიწვედა წინ და თავის მწვერვალს მიაღწია იესოს მოსვლაში. *გალატელთა მიმართ წერილში* წერია: “დროთა სისრულეში, ღმერთმა გამოგზავნა თავისი ძე”; *ებრაელთა წერილი* და პავლეს ეპისტოლენი იესოს წარმოადგენს ისტორიის, ჟამთასვლის ცენტრად, და არა კრონოს-ად, არამედ კაიროს-ად. იესოს

მიერ მთელი ჟამი, მთელი წარსული, აწმყო და მომავალი იქცევა კაიროსად, ანუ ღმრთის წყალობად. მას ხელში უპყრია მთელი დრო-ჟამი, და არა ისე, როგორც ბერძნულ ღმრთაებებს ეპყროთ ხელთ ადამიანთა ჟამი; იგი მართავს დროს, დაუნაწევრებლად. იესომ ამქვეყნად ერთ ღარიბ ებრაელად იცხოვრა და მის კულტურაში გაიღვა ფესვები, თავისი ხალხის სახეიმო დღეებით ხარობდა, რაც მთვარის, მზისა და მნათობების კალენდრით იყო დაყოფილი. ქრისტემ ნამდვილი ადამიანივით შეიგრძნო დროის განზომილება, დროის, რომელიც გარბის და რომელშიც ღამობს საკუთარი მოწოდების ხორცშესახსმელად. რამდენჯერ ახსენებს იოანეს სახარება – *თავის ჟამს*. იესომ თავისი მისია ღმრთის მარადისობაში როდი შეასრულა, არამედ ამქვეყნიური წარმავლობის ჟამში. ამიტომაც, ჩვენმა ჟამმა მიიღო ღმრთის მხრიდან კურთხევა, და ეკლესიასაც აღასრულებს იესოს ცხოვრების დიდ საიდუმლოთ ამ ჟამნის შიგნით. თუკი ქრისტე დღესაც დიდებით მოსილი ცოცხლობს ჟამთასვალში, მის განდიდებულ ცხოვრებაში მონაწილეობა ჟამთასვლაში აღსრულებულ საიდუმლოებათა გაზიარებით ხდება. უფლის პასექის შემდეგ იესოს მოციქულნი და მოწაფენი შეუდგნენ უფლის სიკვდილისა და აღდგომის გახსენებას, როგორც მათი რწმენისა და მათი ხსნის შუაგულს. მხოლოდ იესოს დროინდელ თვითმხილველებს როდი შეიძლება ეწოდოს მორწმუნენი, არამედ მათაც, ვისაც “არ უხილავთ”; წმიდა საიდუმლოებებში მონაწილეობის წყალობით და გაზიარებით ყველამ შეიძლება თავს უწოდოს მორწმუნე და ნეტარი. აი, რატომაც ცდილობდა ეკლესია, დასაბამითვე, კვირის პირველი დღე აღენიშნა, არა როგორც *მზის დღე*, არამედ უფლის სიკვდილისა და აღდგომის მოსაგონარი დღე.

ლიტურგიული დღე, ამდენად, შეგვიძლია მივიჩნიოთ კვირის მემკვიდრედ, და ამ დღით აღინიშნება ქრისტიანული რწმენის ცენტრი – მკვდარი და აღმდგარი უფალი; როდესაც ეკლესიას ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკულტო ადგილები, ლიტურგიული წიგნები, სპეციფიკური ლოცვები და გალობები, მას გააჩნდა გამორჩეული ჟამი – *დღე*, როდესაც მთლიანად დაკავებული იყო თავისი რწმენით, და ეს იყო ყოველი საკვირაო პერიოდის პირველი დღე – *კვირა*. წარმოვიდგინოთ, თუ რამხელა გადატრიალება მოახდინა თანდათანდობით ამ ახალმა, ჟამთასვლაში გაჯერებულმა რწმენამ. და ეს არის *ლიტურგიული დრო*, რომელიც არა მხოლოდ იხსენებს, არა მხოლოდ აღნიშნავს, არამედ და უწინარესად აგრძელებს კაცთა ხსნის ისტორიას, რამაც, მართალია, იესოს მიერ მიაღწია თავის ცენტრს და თავის მწვერვალს, არ დაშრეტილა და ეკლესიის ჟამში და ყველა იმ ქრისტიანის ცხოვრებაში აგრძელებს არსებობას, ვინც ამ ჟამშია ჩართული. ეკლესიის ლიტურგიული დრო, წლის მანძილზე ხელახლა აცოცხლებს ქრისტეს ცხოვრების მოვლენებს, კერძოდ, მის სიკვდილსა და აღდგომას, და თან კულმინაციური და განუმეორებელი გზით აკავშირებს ერთმანეთთან იესოს ხორცად შობის პირველ მოსვლას მეორე, დიდებით მოსვლასთან. ლიტურგიული დრო მხოლოდ წარსულს როდი გაჰყურებს, იგი აწმყოს მიერ მერმისში გადანაცვლებს. ლიტურგიული დრო არ ეთიშება *პროფანულ დროს*, მას თავისი ნათლით მოსავს. რასაკვირველია, კაცთა ხსნის ისტორიული მოვლენები არ უნდა აღვიქვათ იესოს ცხოვრების თეატრალურ თუ დრამატულ წარმოდგენად, ან ფილმის ყურებად და კომედიაში მონაწილეობად. ლიტურგია (*ეტიმოლოგიურიად ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს “ხალხის საქმე”*) თავად კაცთა ხსნის ისტორიის ნაწილი ხდება, თუკი გულისხმიერებას გამოვიჩინოთ ლიტურგიაზე, მრავალჯერ გავიგონებთ სიტყვას “*დღეს*”; ჭეშმარიტად, მორწმუნეს შეუძლია თქვას: *დღეს იშვა ქრისტე, დღეს მოკვდა ქრისტე, დღეს აღდგა ქრისტე*, და არა იმ აზრით, რომ ქრისტე ხელმეორედ იშვება, მოკვდება და აღდგება, არამედ იმ აზრით, რომ ქრისტეს საიდუმლოებებში მონაწილეობა იმდენად ჭეშმარიტი და სავსე ქმედებაა, რომ სხვა არ არსებობს, თუ არა ორიათასი წლის

წინანდელი “დღეს”, რომელიც უამთა აღსასრულამდე გასტანს. ქრისტეს საიდუმლონი, რასაც ოდითგანვე აღნიშნავდა ეკლესია, თავად ეკლესიის ცხოვრებად იქცა და ეკლესიას ხელეწიფება ქრისტეს საიდუმლოთა გაგრძელება და სრულყოფა დროში.

ამ საიდუმლოთ ეკლესია წლის მანძილზე გადნაწილებული დღესასწაულების მეშვეობით აცოცხლებს, მათ შორის განსაკუთრებულია *ლიტურგიული წლის კვირები*, რომლებიც უფლის საკვირაო პასექს მოიგონებენ, და კიდევ, უფლის პასექის აღმნიშვნელი ყოველწლიური კვირადღე. ამ საკვირაო კვირადღეებით და პასექის კვირით შემდგარი ლიტურგიული წელი უფლის სიკვდილისა და აღდგომის, და მისი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენების რიტუალური აღნიშვნაა. ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს ღრმად შევიდეთ მის საიდუმლოში და გავძლიერდეთ ქრისტეს სრულ ღირსებამდე. რიტუალების აღნიშვნა გვეხმარება, რომ ერთი დღეს გამოვარჩიოთ მეორესაგან, ერთი უამთა – მეორესგან და ისე მოვიქცეთ, რომ სამუშაო დღეებმა ადგილი დაუთმოს დღესასწაულებს ანუ სადღესასწაულო უამთა სამუშაო დღეებისთვის იმ მეტყველ ნიშნად იქცეს, რაც კვირის დღეებს და წლის დღეებს დღესასწაულის ნიშანს მიანიჭებდა. წლის განმავლობაში აღნიშნული რიტუალები გვეხმარებიან, რომ ჩვენს ღმერთს მიუძღვნათ ჩვენივე დრო, რათა უფრო გაღრმავდეს მასთან ჩვენი კავშირი თავშეყრის, მისი სიტყვის მოსმენის, წმიდა საიდუმლოთა აღსრულების და ქრისტიანული სიყვარულის გზით.

ლიტურგიული წელი არც ავტომატურად შეიქმნა და მით უფრო, არც მაგიდასთან მოფიქრებულა. პირველუამინდელი ქრისტიანების დღესასწაული უღაოდ გახლდათ *კვირა*, რამაც დაჰყო ქრისტიანების საკვირაო რიტმი. კვირიდან კვირას საკრებულოები აღნიშნავდნენ ჩვენი ხსნისათვის შობილი, მკვდარი და აღმდგარი იესოს საიდუმლოს. ამ დღის გარეშე ქრისტიანები ვერ გაძლებდნენ. ზოგიერთ პირველუამინდელი მოწამე სიკვდილთან შეხვედრას უფრო არჩევდა, ვიდრე ის, რომ საკვირაო ღვთისმსახურების წყალობა მოკლებოდა, რასაც იმით ამართლებდნენ, რომ კვირის გარეშე მათ არ შეეძლოთ ცხოვრება. *კვირა* საძირკველი და ბირთვია მთელი ლიტურგიული წლის. მართალია, ქრისტიანებს – მართლმადიდებლებს, კათოლიკეებს, პროტესტანტებს, – შორის ჯერ კიდევ არ არსებობს სრული თანხმობა პასექის წლიური აღნიშვნაზე, ორი კალენდრის, – იულიუსისა და გრიგოლის კალენდრების – გამო, მათ შორის არსებობს თანხმობა აღდგომის საკვირაო აღნიშვნაზე, ანუ კვირაზე. განა ეს უკვე არ უქმნის პირობას ყველა ქრისტიანს, რომ გააცოცხლონ უფლის სანუკვარი ოცნება ქრისტიანთა ერთობაზე. თუკი ასე ძნელად გვეჩვენება ეკლესიათა შორის თანხმობის მიღწევა აღდგომის წლიური აღნიშვნის საერთო თარიღზე, მაშინ რად არ უნდა მივანიჭოთ მნიშვნელობა *კვირას*, დღეს, როდესაც მთელი მსოფლიოს ყველა ქრისტიანი ერთად იკრიბება და საზეიმოდ აღნიშნავს თავის რწმენას – მკვდარსა და აღმდგარ იესოს.

პირველივე საუკუნიდან ქრისტიანები საკვირაო პასექიდან წლიურ პასექზე გადავიდნენ. ებრაელთა მიბაძვით, რომლებიც 14 ნისანს აღნიშნავდნენ თავიანთ პასექს, გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ მათაც დაიწყეს კვირის, როგორც უფლის პასექის, წლიური მოსაგონრის აღნიშვნა, ხოლო შემდეგ სამი წმიდა დღის აღნიშვნაც (პარასკევი, შაბათი და კვირა), – ჯვარცმული, დაფლული და აღმდგარი უფლის სამღლეული, – ამ სამღლეულს ისინი გამორჩეულად აღნიშნავდნენ. პასექის დიდი დღესასწაული ორმოცდაათი დღის მანძილზე გრძელდებოდა, სულთმოფენობამდე, სული წმიდის მადლით უფლის პასექის აღსრულების მოლოდინში; რის შემდეგაც, შეიქმნა *წმიდა კვირა*, რადგანაც, იერუსალიმის საკრებულოს ზეგავლენით, სურდათ გაეცოცხლებინათ მთელი ის რვა დღე, რაც უფლის აღდგომას უძღოდა წინ.

უფლის პასექის ცისკარზე ეკლესია მუდამ აღასრულებდა ქრისტიანული ინიციაციის საიდუმლოებებს (*ნათლობა, მირონცხება და ევქარსტია*), ხოლო შემდგომ საპასექო წირვებზე მონაწილეებს შემოირიგებდა. აღნიშნვის ამ ორ ფორმას შედეგად მოჰყვა *დიდმარხვის პერიოდი* – კათაკმეველთა საადღომოდ მოსამზადებელი ჟამი, ქრისტიანული ინიციაციების სხვადასხვა საფეხურებით, და მონაწილეთა მონანიებით, რაც დიდმარხვის ბოლოს სრულდებოდა.

IV საუკუნეში, ეკლესია შეეცადა ხალხისათვის ძვირფასი დღესასწაული შობა *solis invicti* დაენერგა, ქრისტეშობის აღნიშვნით. სხვადასხვა მიზეზებით, დასავლეთში, ღმრთის სიტყვის განხორციელება ქრისტეს შობის აღნიშვნით გადაწყვიტეს, ხოლო აღმოსავლეთში – გამოცხადებით, ნათლისღებით. დასავლეთში, ქრისტეს შობის დღესასწაულს წინ უძღოდა მოსამზადებელი, *ადვენტის პერიოდი*. დანარჩენ კვირადღეებს “რიგით დროს” უწოდებდნენ.

დიდი დრო დასჭირდა იმას, რომ ლიტურგიულ წელი ამჟამინდელ სტრუქტურამდე მოსულიყო, რაც სხვადასხვა პერიოდების მეშვეობით უკეთ გვაცნობს კაცთა ხსნის ისტორიის ამ ეტაპს: ქრისტეს ხორციელი მოსვლიდან ვიდრე მის საბოლოო დაბრუნებამდე, ჟამთა აღსასრულს.

გარდა ლიტურგიული წლის დროებისა: *ადვენი, შობა, დიდმარხვა, აღდგომა, რიგითი დრო*, რასაც ზოგადად “*ჩვეულებრივ*” დროს უწოდებენ, არსებობს ასევე ე. წ. “*გამწმენდი*” დრო. მთელი წლის მანძილზე ეკლესია აღნიშნავს ქრისტეს გამარჯვებას და მის აღდგომას, რომელიც მის წევრებში ხორციელდება – ქალწული მარიამი და წმიდანები: მარტვილები, აღმსარებელნი, მოძღვარნი, უმანკონი და სხვ.

ყველა ეს დღესასწაული ხსნის ისტორიას პატარ-პატარა მოვლენებად როდი ანაწევრებენ, მას ჩვენი ხსნის ერთადერთი და დიადი საიდუმლოს აღსრულებით წარმოადგენენ. და ასე, თავად ქრისტეა ჩვენი ჟამი, უფრო მეტიც იგია “*აღფა და ომევა*”, დასაბამი და დასასრული, მისია ჟამნი და საუკუნენი, მისია დიდება უკუნეთი უკუნისამდე (*საადღომო ცისკრიდან*).

ბიზანტიური ლიტურგიული წელი

ბიზანტიურ ლიტურგიაში შეგვიძლია სამი ციკლი გამოვყოთ:

1. *პასექის ციკლი*, მოძრავი თარიღით. 325 წლის ნიკეის მსოფლიო კრების დადგენილებით, ის ორი უკიდურესი წერტილი, რითაც ასტრონომიული გამოანგარიშებით შეიძლებოდა წლიური პასექის აღნიშვნა, გახლდათ 22 მარტი და 25 აპრილი. ქრისტეს აღდგომის დღესასწაული გამორჩეულია აღმოსავლელ ქრისტიანებში და, როგორც უკვე ვნახეთ, დასავლეთშიც; ამიტომაც დგას ის თორმეტ დღესასწაულზე მაღლა (*ეს თორმეტია: 8 სექტემბერი – ღმრთისმშობლის შობა; 14 სექტემბერი – ჯვართამაღლება; 21 ნოემბერი – მარიამის ტაძრად მიყვანება; 25 დეკემბერი – ქრისტეს შობა; 6 იანვარი – ნათლისღება; 2 თებერვალი – მირქმა; 25 მარტი – ხარება; ქრისტეს იერუსალემში შესვლა – ბზობა; ამაღლება; სულთმოფენობა; 6 აგვისტო – ფერისცვალება; 15 აგვისტო – ღმრთისმშობლის მიძინება*). აღდგომის დღესასწაულს წინ უძღვის დიდმარხვის 10 კვირა და მოსდევს საადღომო ჟამის 8 კვირა.

2. *დღესასწაულები უძრავი თარიღებით*. ბიზანტიურ აღმოსავლეთში ლიტურგიული წელი იწყება პირველ სექტემბერს. ეს თარიღი 312 წლიდან დადგინდა და უკავშირდება იმ დღეს, როდესაც იმპერატორმა კონსტანტინემ ჯვრის ნიშნით დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგენი, ხოლო შემდეგ სარწმუნოებრივი აღმსარებლობის თავისუფლება მიანიჭა ქრისტიანებს; შემდეგში, ნიკეის I მსოფლიო კრებაზე, სექტემბერი ლიტურგიული წლის დასაწყისად

გამოცხადდა. უძრავი თარიღებით აღინიშნება უფლის, ღმრთისმშობლის, ანგელოსთა და წმინდანთა დღესასწაულები.

3. *საკვირაო ციკლი*. კვირეულის პირველ დღეს – კვირას, ეკლესია იხსენებს იესოს პასექს; ორშაბათი ეძღვნება ანგელოსებს, ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, “უხორცოთ”. სამშაბათი – წინამორბედის და წინასწარმეტყველის იოანე ნათლისმცემლის დღეა; ოთხშაბათი (*იუდას მიერ უფლის გაცემის დღე*) და პარასკევი მეტადრე მოიგონებს ქრისტეს ვნების ჯვარს, როგორც ტანჯვისა და გამოსყიდვის საშუალებას; ხუთშაბათი მოციქულთა მოგონების დღეა და მათ მემკვიდრეთაგან გამოიყოფა წმ. ნიკოლოზი; შაბათი მიცვალებულთა და ყველა წმიდათა დღეა.

ბიზანტიური ლიტურგიული წელი მრავალმნიშვნელოვნად არის დატვირთული და მასში ასახულია აღმოსავლური ეკლესიების საუკუნოვანი მედიტაციის ნაყოფი, – იმ მრავალი წმიდანის სულიერების საგანძური, რომელთაგან მრავალი ეკლესიის მამადაა წოდებული.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი